




სვეტიცხოვე




1894





ქურონალის «ჯეჯილი»-სა

I.	ახალი წელიწადი—შ. მკვიციანისა,	3
II.	ბასილას ნაამბობი სახალწლო არაკი—ნიკო ხუციშვილისა	5
III.	ზამთარი მთაში სურათი—ჯაყა-ფშაველასი	10
IV.	პათარა თომას თავგარდასალი ზღაპრული ამბავი (ფრანგული დან)—ან. თ.-წ—ისა.	13
V.	კრუხი და ჩხიკვი ლექსი—ბახჩანასი	22
VI.	ვაზი—გ. გ—ლი.	27
VII.	მდიდარი და გლახა ხალხური ლექსი	33
VIII.	სათაგვეთის ამბები მეორე ამბავი— <u>თ. რაჭიკაშვილისა.</u>	35
IX.	პატარა ანასტასია ლექსი—ტუს-იმეჩლისა	47
X.	დაუფასებელი ფრინველი—იაკობ სვიმონიძე	49
XI.	მაიმუნების ჭკუა-გონება—ილიკოსი	57
XII.	მხიარული სამხარი ღუტუ მკვრელისა	67
XIV.	ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსი, ზმა, ჩქარა გამო-სათქმელი, აკროსტიხი, ეპიტიფესი, შარადა და რებუსი	



3 ისაც ჰსურს წარსული წლების „ჯეჯილი“-ს ნომრების ყიდვა, შეუძლიათ იყიდონ ქ. ტფილისში ქართულ წიგნების საკითხავში (არწრუნისეულ ქარვასლის ეზოში) თვით რედაქციაში (Большая Водовозная ул., № 22) და ქ. ქუთაისში ძმათა წერეთელთა წიგნის მაღაზიაში.



4631



ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი


ჟურნალი

იზარდუ, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!...
•••

ქართული ენის განვითარებისათვის

№ I

ქართული ენის განვითარებისათვის



ტფილისი

სტამბა წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა Типография Груз. Изд. Товарищества.
1894.

Дозволено цензурою Тифлисъ, 11 Декабря 1893 года.

ახალი წელიწადი

აღღების საწოლ ოთახში
წინარად შევიდა გაღია
და უთხრა: «გამოიღვიძეთ
ახალი წელიწადი!»


ადე თქვენც, მოიკანსენით,
ღროს აღარ უნდა ეურება,
ღღეს გლახა, დიდი, ჰატარა
ტამარში მიეშურება.

ღმერთმა დაგასწოროთ ძრავალს წელს,
შვილებო, დღეგრძელობითა.

მახვილი ჭკუა გონებით
განსაყუტაკებულ გრძობითა.

მოგცეთ უფალმა სწავლასთან
სამაგალითო სწეობა;
კეთილი საქმის სურვილი,
დაუღალავი მსწეობა.

გულ-წრფელი ჰატვიისცემა
საძობლო დედა-ენისა;
დანაგრულების აღდგენა
და მოძავალი ღხენისა.




მფარველად მალაღი ღმერთი
 და სიუვარული ერისა;
 სიმტკიცე—სიმართლისათვის
 იესო მუნეირისა.

აგმორდეთ შური, დალატი,
 მრუშობა, ცილის წაძება;
 ორზირი ქცევა ეკლასთან,
 ძელური გათამაძება».

რა ჩამოლოცა, ეკლასნი
 დაჭკოცნა დედანრულათა
 და დაურიგა ჩურჩხელა
 მან ბაღლებს მსიარულათა.

შ. მღვიმელი.




ბასილას ნაანზობი.

(საახალწლო არაკი)



ს, რა საშინლად ცხელოდა, მე რომ ჰირველად გონზე მოველ!.. მივიხედ-მოვიხედე. ჰატარა სინათლე, რომელიც ჩემს თავს შემოდან ჩამოდიოდა, ოდნავ ანათებდა არე-მარეს... ამ სინათლესე გავარჩიე, რომ სახლი ჰატარა იყო. კედლებზე—ჩემს გასწვრივ, რაღებიც მოჩანდენ. ვუქრობდი, მინდოდა გამეგო, სადა ვარ, ან რა ვარ, მაგრამ, არ ვიცი, სიცხისაგან მომდიოდა, თუ რისგან, ვერა გავაწყურა. ვნახოთ, უცრად ბრახუნი მომესმა, ოთახის ჭერი გადაიხდა და განათდა... გაწანბე სული. ვთქვი ეს არის მეშველა, ახლა კი რასმე გავიგებ-მეთქი...

— რაკ! გაისმა და გვერდში რაღაცა ვიგრძენ, ის-ის იყო დავადე ება დასაფეირად, რომ ვიღამაც ზევით ამისროლა. ღმერთმა უშველოს! ტკივილი ვისღა აგონდებოდა: გრილმა ნიავმა შეგუბებული სული მომიბრუნა. მინდოდა რაიმე მეთქვა ჩემის მსხველისათვის, მოვხვეოდი და მადლობა გადამენდნა, მაგრამ ვერ შევიძელი. ჩემმა მსხველს კი ჩამსო რაღაცაში და გამაქროლა. შემიტანა ოთახში. ღმერთო! რა მხიარულება დამხვდა! ნუ თუ სულ ასეთი მხიარულებაა-მეთქი ამ ქვეყანაში?! აჰ, რა კარგია, რა შვე-



ნიერებაა!.. რამდენიმე ბავში წივილ-კივილით, კისკისით და ხტუნვით შემოგვეხვიენ.

— გაუძარჯოს ჩვენს ბასილას, გაუძარჯოს! ჭკვიროდენ ისინი.

— ნუ თუ ბასილა ძევიან! ვინ დამარქვა, ან სად უნახივარ ამათ, რომ სახელიც იცინან! მიკვირდა მე.

ამიტაცეს ხელში და ხან აქეთ მისროდენ და ხან იქით. დამიწვეს შინჯვა: ზოგი თავს მიწუნებდა, ზოგი ცხვირ-ზირს, ზოგი ხელ-ფეხს და ზოგი რას და ზოგი რას. ესენი რომ გავიგე, შემეშინდა, შემეშინდა: ვაი თუ გადამაგდონ და ამისთანა ცხოვრებას მომაკლონ-მეთქი. მაგრამ შიში გამიცრუვდა! ჩემმა მხსნელმა გამომართო ამათ და მაღლა შემასკუპა.

— უთუოდ ძვირფასი რამ ვიქნები ამათთვის, რომ ასეთი ზატვი მცეს-მეთქი, — ფიქრობდი; გულში იმედი მეძლეოდა, თანაც არე-მარეს ვათვალიერებდი, საიდანაც ბევრი რამ მოჩანდა. თვალთ სუეოველისფერს ვხედავდი, მაგრამ ვერ ამეხსნა ჩემი ვინაობა და მდგომარეობა.

დადაძდა. ცოტას ხანს კიდევ მოისმოდა კედელს იქიდან სიცილ-კისკისი. შემდეგ მიწუნარდა. მომეცა დრო ფიქრისა, ფიქრობ... ფიქრობ, მაგრამ ვერ გავიგე... მხოლოდ ის ვიცი, რომ ბასილა ძევიან, სხვა არაფერი... ფიქრიც მომწეინდა. ამ დროს გაიღო კარი და სანთლის სინათლეზე ჩემი მხსნელი გავარჩიე... ხელში რაღაცა ეჭირა, მოძიახლოვდა, გადამაბრუნ-გამდმომაბრუნა და შიგ ჩამსვა. ჩემს გარდა იქ სხვებიც ბევრი იყვნენ, (ესენიც უძრავნი, როგორც მე), მერე აგვიხილთო გარშემო წვრილი

სანთლები და გაგვიტანა გარედ. მიგვატარა-მოგვატარა და შეგვიტანა ისევ ოთახში. სანთლები ჩააქრო და გავიდა.

ისევ სიჩუმეა... გათენდა. ატყდა სმაურობა ისევ ის სიცილი, ისევ ის კისკისი. გავიდა ეს დღე მხიარულებში. მეორე დღეს, ვნახეთ, საიდანღაც ჩემისთანავე ჰატარა არსება მოიყვანეს და გვერდით მომისვენეს. მინდა ხმის გაცემა, მაგრამ ვერ ვახერხებ... ახ, რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ ერთმანეთისა რამე გვესმოდეს!

— ჩვენი ბასილა სჯობია, დაიძახა ვიღამაც.

— არა, ჩვენი ბასილა სჯობია, უთხრა მეორემ.


— ნუ თუ ამასაც ბასილა ჰქვია! ვიფიქრე მე.

— აბა, თუ ეგრეა, დავაჭიდოთ და მაშინ გამოჩნდება, დაიძახეს და წამოგვაუღეს ორთავეს ხელი.

მინდოდა მეთქვა, ნუ, ნუ ჩაიდენტ მაგისტთან უღმერთობას, ნუ შეგვაძულებ ერთმანეთს, ძლივს ვნახე ჩემგვარი არსება და ნუ მომამორებით ამას-მეთქი, მაგრამ ესეც ვერ მოვახერხე.

დაგვჭიდეს. მე გამაღიანება მოვინდომე, მაგრამ რა ხელებსაც მე ვეჭირე, ისეთნაირად გამაქანეს ჩემს სენი-ასკენ, რომ შიშისაგან თავს-ბრუ დამეხვა და მას შემდეგ აღარა გამიგარა. მხოლოდ როცა მოვსულიერდი, გავიგე, რომ მე მოვრეოდ: ჩემს სენიასთვის თავი მომეკდებინებინა. ამ ამბავმა ძრიელ შემაწუხა.

— ნუ თუ ესეთი უძლურები ვართ ვკვლავ ბასილები, ვუფიქრობდი მე კიდევ, რომ როცა უნდათ ჩვენს ჰატრონებს აგვიღებენ, როცა უნდათ დაგვიღებენ, როცა უნდათ გვაჩხურობენ და ერთმანეთს ამოგვაქლეტინებენ, თვითონ კი სვირს უყურებენ,—მეთქი.



ამ მწარე ფიქრებში მომაგონდა ჩემი სეხნია; გავიხედე და თქვენს მტერს, რაც მე დავინახე: ჩემგნით თავის მოკვდებინება არ ეკმარათ იმ უბედურისთვის, გაეკლიჯათ ნაწილ-ნაწილად და არსენით შეექცეოდნენ.

— ოხ, უღმერთოები! ვსთქვი ჩემთვის, ხმის ამოდება კი ვერ შეუძელი.

— ეგეც შევჭამოთ. დაიძახა ვიღამაც. ამ სიტყვებმა ნემსებივით დაძიარეს ტანში.

— ეგ კიდევ მერე, მიუგო მეორემ და წავიდ-წამოვიდნენ.

საშინელი ხიბნელა. (ჩემთვის და სხვისთვის კი არ ვიცო) ისევ საცოდავი ჩემი სეხნია მომაგონდა. მომაგონდა ისიც, რომ მეც ის დღე მომელის.

ამ დროს რაღაცა ფხაკური შემომესმა. ყური დაუგუდე. ფეხში ცოტად რაღაცას ვგრძნობდი, მაგრამ, როგორც სხვა ამბები, ესეც ვერ ავხსენ, დიდხანს ისმობდა ეს ფხაკური ვიდრე არ ირთაჩრთა. გათენდა. კიდევ სმაურობაა.

— უი, ჩვენს ბასილას აღარ აქვს ფეხი! დაიძახა ვიღამაც.

— თაკვს მოუჭამია. უთხრა მეორემ და ამიღო ხელში.

ღიად, მაშინღა გავიგე მე უბედურმა, რომ ერთი ფეხი აღარ მქონდა. «რა ვარ, რომ ფეხსა მჭამენ და მე კი აღარა მესმისრა?» ვუკითხებოდი ჩემს თავს და კიდევ ვერა გაძეგო რა.

— მეორეც მოვჭრათ, თორემ ვერ დადგება ურჩია ერთმა და დამისვა დანა.


— ბარემ შევჭამოთ, დაიძახეს კიდევ, ამ სიტყვებზე თვალთ დაძიბნელდა.

— ახლა კი არა და სადილის უკან—უზასუსა ფუნის მომჭრელმა და თახჩაში შემდო.— ვდგევარ და ვუქრობ. ვიკონებ ჩემს წარსულს და ახლანდელს. მომაგონდა ჩემი ჰირველად გონსე მოსვლაც. დიად, დავიბადე, ჩემი დაბადება არამც თუ არ სწეინდათ, ძალიანაც გაუსარდათ. თითქმის მხატრონობდენ კიდევ, ჰატვის მცემდენ, მაქებდენ. ძერე კი, როცა იმედი მომეცა ამ ქვეყნის გაგებისა, სწორედ მაშინ გამაუბედურეს: ჯერ მომაკვლევინეს ჩემი ახლად გაცნობილი სენსია—ბასილა, ძერე ისეთ ალაგას დამდევს, რომ ვილაცას ფენი მოაჭმევინეს ჩემთვის, შემდეგ ძეორე—თვითონ მომჭრეს და ბოლოს კი შესაჭმელად გადამდეს. ვიცი, რომ საცაა ბოლო მომელება ჩემისთანაებისგანვე, რომლებსაც ჩემსავით თავიცა აქვთ, სელეზბაც, ფეხებიც, მაგრამ ვერა მიღონიარა, რომ ამათ მოუშორდე, ან რომ შემეძლოს მოშორება სად, ვისთან წავიდე?

— აჰ, ბასილების ბედი ყველგან ასეთი ყოფილა!


ასე შემომჩვილა ახალწლის ბასილამ, როცა ახალწლის მესამე დღეს ერთს ჩემს ნაცნობთან მივეუღა და გოზინაყისთვის თახჩაში შევიხედე, სადაც ის თავ-ჩაღუნული იდგა და წამის-წამ შეჭმას მოელოდა.

ნიკო ხუციშვილი



ზამთარი მთაში

(სურათი).



ამოგვითოვა ქედები,
 თეთრი დახურა მანდილი,
 თოვლი ბარადაც გვეწვია,
 დიდი არა აქვს მანძილი.

სამგლოვიაროდ იმოსვის
 ჩიენის სოკულების მიდამო;
 უსიამოვნო ამბავი
 მიწას ეუწყა ცილამო.

დაღონებულა ტყე-ველი,
 დაღონებულან ჩიტები,
 ველარ ლალობენ, დაწყნარდენ
 ის მგალობლები ცქვიტები.

ირემმაც ფერი იცვალა,
 მთას უცქერს გაშტერებული,
 უკვირს რა ექნა ბალახი:
 სამყურა გახელებული.

შველმა მოძებნა მაყვალი,
 ზაფხულში დაწუნებული
 ჰკორტნის არ სწუნობს ეხლა კი
 თვალ-მარდი განუნებული.

დატკბა და ძვირად დაფასდა
ბუხარი გახურებული,
ვაწმინდა მონადირემა
სიათა დაქანგებული.

აქამდის მოცლით არ იყო
საქმისგან დაბანდებული.
წრიაპებს ¹⁾ ეძებს ბერიძე,
ხუჩებს ²⁾ წნებს გაჩქარებული.

წავა და დასდევს იარბებსა
მთა-მთის პირთ გამალეხული,
თუ მოჰკლავს გამობრუნდება
შინ მოდის გახარებული.

წინ ცოლი მიეგებება,
ქმარს ნაბადს უგებს კერაზე,
დააძრობს ფეხთით საცმელებს,
იქვე გადაჰფენს ძელაზე;

არ ზარობს, ცოლი მზად არის
გაყინულის ქმრის შეგლაზე.
გაჩაღებული ცეცხლია...
მხრებზე მოახვევს ბურასა

ერთს ყანწს არაყსაც მოუტანს
ბერიძე გადიწურავსა.
დალაღებული ბაღლები
გაიძახიან „ურასა.“

აშიშინდება მწვადები
წვენის წვეთ-წვეთად დენითა,
ბაღლებს ჩიჩია ალაღებს
ტუჩებს ილოკენ ენითა.

¹⁾ რკინისა; ფეხის ძირებზე ამოსაკვრელი, რომ კაცმა ფეხი დამაგროს
ყინულებზედ და გვერდოვებზე.

²⁾ ბანდული ანუ ჯღანები ჩუხტების მგზავსია ძირს საბანდით გამო-
ქსოვილია.

კატაც მიმჯდარა კერას პირს
 თავის უღელაშით, წვერითა.
 ისიც მოელის ერთს ჩიჩქსა,
 რომ გაისველოს პირია.

სახლის ბოძებიც ხარობენ
 დღეს იმათთვისაც ღონინია:
 მათზეა ასოთ აქნილი
 ხარი-ირემი დვინია.


ყველაცა ხარობს სახლშია
 რალა გასაჭირია.
 ხორცი ბევრი და ნაფქვავე
 შეშაც დერეფანს მრავალი.

კიდევაც დარჩა ტყეებში
 ხარ ირმებისა ნავალი.
 დაუკარ, ბიჭო, ჩონგური
 უთხარ თავ-გადასავალი.—
 დაჰმღერე ძველი ამბავი,
 მამა-პაპისა მრავალი.

თოვლო ითოვე, ითოვლე,
 მთა-ბარს ჩააცვი სუდარა;
 ყინვა, ქარი და ნამქერი
 ზამთრის წესია მუდამა.

ვაჟა-ფშაველა.





გატარა თომას თავგარდასავალი

(ზღაპრული ამბავი)

ციგით მოგზაურობა „ენგარა-შაქრის“ ქვეყანაში



ა შეენიერება, როდესაც მზეს კაშკაში
გააქვს და აზრიალებს ბამბის-ქულასავით
თეთრს თოვლს და ცივა (მარხილი)
ერთ თვალის დასამხამებაზე გორაკიდან
დასრიალდება ხოლმე.

ვისაც ცივა, შეუძლია სახლში დარჩეს, ვისაც ეშინია
ციგით სიარული, შეუძლია შორიდან უეუროს. ცივამ სწრა-
ფი სიარული იცის, იმისთვის საჭირო არ არის არც ცხე-
ნი, არც მათრახი.

თომა ძარდი ეძაწვილი იყო, იმას თავის დღეში არ
შესცივდებოდა, თუნდ ხელთათმანებიც არ ჩაეცვამ. თუ ცხვი-
რი გაუწითლდებოდა, ძალზე დაიწვეებდა სრუხას, თუ თი-
თები გაუშემდებოდა, მოჭკუებოდა იმათ ფშენეცას და უბე-
ში იმაღავდა.

თომა ეველასთან ჰინანთლად იყო; ვისაც არა დაუ-
შავებია, რომ არც არაფრისა შეეშინდება.

ერთი დიდი ტბის გვერდით იყო ძალიან გორაკი,
რომელსაც ეძახოდნენ ცის გორაკს.



თითქმის არც ერთი ბავში არა ბედავდა იქ ასვლას; ამ გორაკის ერთი მხარე იყო სწორე ადგილი და ამ სწორე ადგილზე სოკი ერთი თამბი ემაწვილები ასრიალებდენ ცივას, მაგრამ აქაც საჭირო იყო ცივის ტარების ცოდნა და არა ერთხელ ემაწვილები გადმოგორებულან თოვლში, ქუდები დაჭკარგვიათ და ცხვირ-პირი ჩაუმტვრევიათ. ამისთანა შემთხვევა ერთ წუთას თუ დააღონებდა ემაწვილებს, თორე ისინი ისევ მოჭეკებოდენ ცივების სრიალს და მათ გულიან კისკისს ბოლო არა ჰქონდა.

ამ გორაკის მეორე მხარეზე საშინელი დაღმართი იყო და ეს დაღმართი უფსკრულში ჩადიოდა, რომელსაც ეინვარა-მაქრის ქვეყანას ეძახოდენ. ვინც ამ დაღმართზე ცივით ჩასრიალდებოდა, ეელამდის თოვლში ჩაიფლებოდა და მხელათ თუ თავს შეიმაგრებდა, ამიტომ ვერაზინ ვერ ბედავდა ამ დაღმართზე ცივით სიარულს.

პატარა თომას სახალწლოთ ისეთი ცივა მიულოცეს, რომ მისი მსგავსი არა იყო რა. სულ რკინით იყო შემოჭედული და ვინაც არ უნდოდა მისი ხელით ტარება, შეიძლებოდა შებმაც.

თომა თავისი ცივით სწორედ სანახავი იყო ამ ცის გორაკზე, როდესაც თოვლი ფერფლავდა.

კონი ამაზე უკეთესი ცივა ჯერ არავის ჰქონია და თომას სიხარულს სასლვარი არა ჰქონდა.

ერთ შვენიერ სამთრის დღეს თომამ მოინდომა ცივით ეინვარა-მაქრის ქვეყანაში გამგზავრება.

მოფიქრება და ასრულება ერთი იყო; ემაწვილები აღტაცებით შეცქეროდენ უშიშარ თომას.

ის თავისი ციგით ავიდა ცის გორაკის წვერზე, ჩაჯდა შიგ და შემოსძახა:—აბა, ჩემო ციგავ, გამძსრიალე!



ციგამ თითქოს გაიგო მისი სიტყვები და—ისარვიით დაეშვა უფსკრულისკენ—ეინვარა-შაქრის ქვეყნისკენ.

ჯერ ცოტათი ჩანდა თომას თავი, მერე ისიც გაქრა, ბოლოს აღარც ციგა და აღარც თომა აღარსად იყვნენ. თომა, გრძნობდა, რომ თან-და-თან თოვლში იფლობა და დახუჭა თვალები უიმედოთ.

ციგა ერთი საშინლად შეიმჩა და გადმოისროლა თომა...

ერთბაშად თომა გაჩნდა ერთ დიდ სასასლეში, რომლის მაღალ სვეტებს ბრჭვიალი გაჰქონდა; შიგ თოვლის მეფე იჯდა—მგლის ტყავით და დათოვლილი წვერით. მე-



რე მეფე გამოვიდა სასახლიდან ხელი-ხელ ცაყრილი დედოფალთან, რომელიც ჩაცმული იყო მთლად თეთრებში და თავსე ესურს აღმასებით შეჭედელი გვირგვინი.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩემ სახელმწიფოში, უთხრა იმან,— მე მიყვარს ყოჩაღი და გამბედავი ეძაწვილები. მე შენ ჩემთან ჰატვიით შეგინახავ.

— მადლობელი ვარ მაგ ჰატვიის ცემისთვის, უთხრა თომამ, მაგრამ ცოტადენი თბილი საჭმელი ვეკლას მიჩვენია. რამდენი ხანია მშიერი ვარ, არა მიაჭამიარა.

— წამო, უთხრა მეფემ— მე მიგიყვან საყინულეში. იქ მოგცემენ ბლომად ყინულიან საჭმელებს.

— გმადლობთ, თქვენი არა მინდარა.

— შე უმადურო, მაწაწკავ, გაგირობებ საქმეს მაგნირი უზატვიური სიტყვებისთვის.

მერე მიუბრუნდა დედოფალს და უთხრა:

— დედოფალო, შეუბერე სული ამ ურჩ ბავშს და გადააქციე ისეთ ფრინველათ, რომ სახელმწიფოში სულ უგზო-უკვლოთ იფრინოს.

დედოფალმა მართლაც ყინულივით ცივი ჭაერი ჩაჭებერა ეძაწვილს, თომა ერთბაშად გადაიქცა თოვლის ფერფლად და მოჭყვა ჭაერში ტრიალს სხვა ფერფლებთან ერთად...

თომამ განხილავ თვალები, ის იწვა თავის ქვეშაგებში და ძალიან სტკიოდა თავი. დედ-მამა და და-ძმანი გარს ეხვივნენ.

— მადლობა ღმერთს, შეილი გადაგვირჩა სიკვდილს, ცოცხალია, თქვეს დედ-მამამ, როდესაც თომა გაინძრა,

— რა ამბავი მოხდა? ჭკითხა თომამ და ქვეშაგებზე წამოჯდა. — განა მე ჩემი ცივით ყინვარა— შაქრის ქვეყანაში არ

ვიყავი? მე იქ ეინვის მეფეც ვნახე, რომელსაც უნდოდა ჩემი
საყინულეში ჩაგდება. მერე სომ დედოფალმა თოვლის ფერ-
ფლად მქცია. ასე უცებ აქ საიდანღა გაჰყნდი?

— დაგავიწყდა განა, რომ გიყვივით ჩამოექანე ცის
გორაკიდან. უთხრა დედამ. — ძალიანაც ჩაიჩხე, კიდევ კარ-
გი, რომ ამხანაგებმა აუვანილი მოგიყვანეს.

— სად არი ჩემი ციგა? იკითხა ემაწვილმა მოუთ-
მენლად.

— შენი ციგა დაიმსხვრა, ჩემო ცეცქო, უთხრა გაჯახუ-
რებით მამამ, — კარგა ხანს ვერ ნახავ იმას.

რა შეემთხვა თომას ბზრიალას თამაშობის დროს.


განათხუელი მოხლოვდა და გზები შეშრა, მაგრამ მინ-
დორში თამაშობა ადრე იყო ნოტიობის გამო. სამაგიერ-
ოთ გზაადგილებს მტვერი ასდიოდათ და გეგონებოდათ,
იატაკია დაგებულიო. ემაწვილებმა — ამხანაგებმა შაბათი
დღე ამოიჩხიეს ამ გზაადგილებში, წასასვლელად ბზრიალას
სათამაშოდ.

ნეტა ეველას უნახავს თუ არა ბზრიალა?

ზოგი დიდა, ზოგი ჰატარა, მაგრამ ყოველთვის
ბზრიალა ხისას და ადგილად არ გატედება. რევალია,
წოწოლიკათ თავდება, — არც ძალიან სუბუქი არის და არც
ძვირი.

თომას ბზრიალას არა შეედარებოდარა, არცის ხისა-
კან იყო გათლილი. მოხუცმა მსახურმა გაუთავა. ბზრია-

A. 3387





ლა შეენივრად ტრიალებდა ისე, რომ თვალს კაცი ვერც-კი მოასწრებდა.

თოდამ თავის ბზრიალას სახელად დაარქვა «სახინო» და დღე-ღამე ისე სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მოესინძრა კიდევ: ვითომ დაესზრიალებინა ისეთი ძალით, რომ ბზრიალას მთელი ქვეყანა შეძოვებოდა, სანამ იმის ფეხ-ქვეშ შედგებოდა.

თოდამს მეორედ კიდევ მოესინძრა, რომ თავისი «სახინო» ჰყარში ისე ძაღლა აესროლა, რომ იქ დარჩენილიყო და ყველანი დურბინდებით უეურებდენ. ეს რა ახალი მნათობი გამოჩენილათ.

ახლა სისძრების დრო აღარ იყო, ამხანაგები დანიშნულ ადგილას წავიდენ თავთავიანთ ბზრიალებით თოდამს მოუგვიანდა, რადგან ახალ ფესსაცმელებს ელოდა.

მოუტანეს თუ არა ახალი ფესსაცმელები, მაშინვე ამხანაგებისკენ მოჰკურცხლა.

რა კარგი ადგილი ჰქონდათ ამორჩეული სათამაშოდ, საცა ტყე თავდებოდა, ზედ კისის ნაპირას.

ძალალი ცაცხვები თითქოს დასცქეროდენ ემაწვილების სათამაშობასა ახალგაზდა არყის ხეები მწვანე ფოთლებით და ნორჩი ტოტებით ისნიქებოდენ ჰატარა ფრინველების სიმძიმით.

ტყის მცველის სახლი აქვე ახლოს იყო, მისი ორი ჰატარა ქალი ძაღლობ ადგილას ქვანედ დამჯდარიყვენ და უცქერდენ ბზრიალას სათამაშობას და კალათით შავი მოცხარი ეჭირათ გამძლე-გამომძლეის მისართმევათ.

ემსწილები ორ ჯგუფად გაყოფებოდნენ. ერთი ჯგუფი რამე განისვრიდა ბზრიალას, მეორე ცდილობდა წკეპლით მის წაქცევას. და თუ წააქცევდა მოგება მისი იყო. ბზრიალა თუ დაგვერდავდებოდა მოჭევებოდნენ უვირილს: ბზრიალა მოკვდა. და თამაშობა უნდა თავიდან დაწყებულიყო.

ასლაც ორ ჯგუფად დაიწვეს თამაშობა: თომა რამე მოვიდა მიემხრო იმ ჯგუფს, რომელსაც დამარცხება მოელოდა. დანახეს თუ არა თომა, უველამ შესძახა: გაუძარჯოს თომას და იმის «სახინოს», რომელსაც ცალი არა ჰქვავს ქვეყანაზე.

თომამ ძალით გაუშვა ბზრიალა, მეორე ჯგუფს უნდოდანთ უგუქცევა და მაგრათ შეძოჭკრა წკეპლა, მაგრამ ბზრიალამ წკეპლას თავი ააცდინა და გამარჯვება თომას მხარეს დარჩა.

თომა განაძედა, გამარჯვებამ გაიტაცა და საბრძოლათ ამხანაგები კიდევ გამოიწვია.

— უფრთხილდი ეტლს? დაუვირეს თომას.


მაგრამ თომა გამარჯვებით დაბნედილიყო და ველარაფერს ხედავდა. უნდოდა სოლო თავის მოწინააღმდეგეების დამარცხება.

იმან ბზრიალა გადისროლა ისეთი ძალით, რომ ქვას მოედვა და ქვამ აჭკრა ძაღლა და ეტლში ჩაუგდო გამვლელებს. შიკ თურმე აჯდა მასრის უფროსი თავისი ცოლ-შვილით და თან ზატარა ძაღლი გიშერა ჰყავდათ.

ბზრიალა ისეთ-ძალით ეცა ამ ძაღლს თავში, რომ ის მაშინვე გაიშოტა და სული დალია.



ეტი მამინვე შეაყენეს. მასრის უფროსს უნდა შეეტყო, ვინ იყო ის ცელი, რომელმაც ბსრიალა შიგ ეტლში ჩაუკდო, თოძამ მოინდომა თავის შველს და უცებ მოკურცხლას; მაგრამ დანახვს თუ არა რომ მასრის უფროსი ემუქრება იმის ამხანაგებს, სვინიდიძმა დასძლია და მამინვე უკანვე დაბრუნდა.



მორიდებით მიუახლოვდა ეტლს და უთხრა: ბსრიალა მე გადმოძივარდა, ბატონო, გთხოვთ დამიბრუნოთ.

— შენა ეოფილსარ, შე სამაკელი! ამოდი შენც ეტლში შენ ბსრიალასთან და მე ვიცი, როგორც დაგსჯავ. თოძა რაღას გააწყობდა, ავიდა ეტლში და დაუჯდა პირდაპირ ბატონს ქალს, რომელიც ტიროდა ცხარე ცრემლით

თავის გიშერას. თომასაც გული ამოუჯდა თავის ბზრიალასზე. ვინ იცის, აღარც კი დაენახა თვალთ!

ასლა კი ორი მოწინააღმდეგე ჯგუფი შეერთდა და ნაღვლიანათ შესცქეროდენ, თავიანთ თომას, რომელსაც მიაქროლლებდენ, ვინ იცის, საით

შევიდენ ქალაქში თუ არა, მასრის უფროსმა უბრძანა, ემაწვილი და მისი ბზრიალა ჩაესვათ საზერობილეში.

— გვედრებით, ბატონო, მასრის უფროსო, ნუ გამგზავნით იქ, სადაც ქურდები გისხედან. ისინი მცემენ, გამქურდავენ!

— ნუ, ნუ გზავნით საზერობილეში, თხოვდა ზატარა ქალი მამას. — დამნაშავე არ არი, უცაბედად მოუვიდა.

— კარგი, შვილო, კარგი. — ჭთქვა მამამ, თუ კი აგრე მთხოვ და თითონაც თავი დამნაშავეთ იცნო ვაზატიებ, მაგრამ ბზრიალას კი არ დაუბრუნებ: ბზრიალას დამნაშავე, მაგან მოჰკლა ძაღლი და მაგას გადავანდევინებ. თქვა და აასრულა კიდევ მასრის უფროსმა.

თომა გაათავისუფლეს, სახლში დიდი შერცხვენილი დაბრუნდა. მწარედ ტიროდა თავის ბზრიალას. ბოლოს მსახური დაჭვირდა სწორედ იმის მსგავს ბზრიალას კაკიკეთებო. კიდევ კარგი, რომ ხიფათს ასე გადურჩა.

ზატარა ქალმა მებღეს გაათხრევიან საულავი და შიგთავისი გიშერა და თომას «სახინო» ჩაულა.

ამ დღიდან ეს ქალი და თომა გამეგობრდენ ისე, რომ საულავს ზედც წააწერეს: «აქ დასაულავებული არიან გიშერა და «სახინო» ამისთანა კარგი ძაღლი და შეენიერი ბზრიალა ქვეყანასე არ მოიპოვებოდ.»

ეს ადგილი ემაწვილებმა შეამკეს ყვავილებით და ფრინველები მუდამ თავს დასჭიკჭიკებდენ,

კრუხი და ჩხიკვი



ჩხიკვი ერთხელ „გაჩასფანდლა“,
 თავი მოიგიჟიანა;
 ეზოში ჩამოიქროლა,
 კრუხი დააფეთიანა.

რა კრუხი? იმის გვარისა
 ყველაც მის ხმაზე ჰყოლა.
 მამალიც განგაშსა ჰცემდა,
 ბაიათს აღარ ჰყოლა.

ან კი რა ექმნათ, როდესაც
 ქორი ეგონათ მჭამელი?..
 რამდენჯერ დაუწყევლიათ,
 იმისი გამომგზავნიელი.

ჩხიკვი კი იქვე ალუბლის
 ტოტებში იჯდა ჩუმადა
 და სიცილითა კედებოდა
 ეშმაკი თავის გულადა.

ბოლოს, როდესაც ქათმებში
შვილობამ ჩამოიარა
და თავ-მომწონედ მამალმა
ლეკურით გამოუარა,—

მაშინ კი ჩხიკვი დაბლითა
ტოტზე ჩამოჯდა დინჯადა
და საუბარი დაუწყო
კრუხს ყიჭალურად,*) ტკბილად:

„ავად ხომ არა ჰბრძანდებით,
რადა ხართ უფერულიო?
ვინ შეუშანო და არ იყოს
პირზედ ვარდ შეფრქვეულიო“?

— „შვილო, რა ვარდებისა და
მცხელა, შე გასახარელო?
მგონია, ახლა მეოთხე
ქმარ-შვილობაში შეველო.

სახლია, რამდენი უნდა
მერე დიდ-ჯალაბობასა?
სხვა რომ არ იყოს, ვერ ასდის
კაცი მჭადების ცხობასა.

ახლა რეცხვა და კერვაი
რამდენი მოუნდებო?
მაგრამ ყმაწვილი ქალ-ვაჟი
თავის გულს ეუბნებო!

ყველა რომ თავისთვის იყოს,
შიში და ელდა მეტია...
ქორი, ის დასანელები,
წელანაც ჩამოგვეტია...

ჩხიკვი

მითომ ხმლებსა და შუბებსა
თქვენი ბიჭებიც ჰზიდავენ?

*) ყიჭალა—ჩხიკვი

რატომ არ დაუქროლებენ,
 განა ვერაფერს უზამენ?

კრუსი

„დაუქროლებენ?!“ ჯერ, შეილო,
 შენ ძლიერ ცოტა გცოდნია...
 ალბათ აქამდის ქორს შენთვის
 ბლღვერი არ აუღენია...

ჩხიკვი

არა; დედილო... ამითი
 ის მსურდა საკითხავადა:
 თქვენი პატრონი ხომ კუჭით
 არა ბძანდება ავადა?..

კრუსი

ღმერთსამც ნუ უთქვამს,—ისიცა
 განა ქორი და მგელია?
 ის რომ არ გვეყვანდეს, ჭაჭანიც
 არ იქნებოდა ჩვენია!..
 რამდენჯელ, როცა ხმა გატყდა,
 ხირიმი დააგრიალა
 და მტერი გულ-გახეთქილი
 ისყიას *) დაატრიალა!..

ჩხიკვი

აბეჩავ, ბიჭო!.. ჭირიმე...
 შენი ეგ მომწონს ძალზედა...
 მაგრამ, დედილო, აგერ იქ
 ვინ გამოვიდა კარზედა?..
 ვაჰმე, მაშინებს და უნდა
 გახსლოთ ამავე წამზედა...

*) ისყიას — ყირამალა

კრუსი

ზაქროა, ჩემი პატრონი...
 იჯექ, ნუ გეჩქარიანო.
 მაგისა, შეილო ქორს იქით
 ზღვას იქით ეშინიანო...
 მთელ ქვეყანაზედ ეგ არის
 კაცი გმირთ-გმირად ხმობილი.
 მასთან უხვი და მოწყალე,
 მშვიდი და კეთილ-შობილი.

ჩხიკვი

მე ხომ ყველაზედ საშინელ
 მტრად მყვანდა წარმოდგენილი.
 და ეგ კი თურმე სიკეთით
 ყოფილა გამოჩენილი!!
 რაც არის, უფრო შენ იცი.
 სიტყვას არ შეგიბრუნებო,—
 რადგან შინ ჰცხოვრობ და მე კი
 შორს, ტყეში დაერონინებო.
 მარამ რომ არ რას გრჩებოდესთ,
 მითომ რად შეგინახავდათ,
 მე ველარ გამიგიაო?

კრუსი

შენ, შეილო, რადგან ტყე-მინდერად,
 ჰცხოვრობ სოფლებიშ შორადა,
 აღამიანის სიავე გაგიგონია ჭორადა,
 თორემ ჩვენ აბა რას გვრჩება!
 არა გეჭამს, არა გეყიდისა.
 ტანს ვერ ჩაგვიცვამს და პურიით
 ისეც იოლად მიდისა...
 არ მიკვირს, სხვეებსაც ველურა
 ყველას ველურად ჰთვლიდესა.

და იმათ ავსა და კარგსა
 ყველას ერთ პარკში სტლიდესა!..

ჩხიკვი

იმავე თაობით არის
 ქებული ჭკვა და გონება
 ჯერ სრულ ქათმისა და თქვენს ხომ
 ვერ ვისი შეეწონება...
 და მეც მოგვლით, რომ თქვენის
 ქმარ-შვილის სადღეგრძელოთა,
 ეგები თქვენის ცოდნისა
 ცოტა მეც მიწყალობოთა.
 მაგრამ ეს კია, ტვინების
 კოლოფო, ჩემო დედაო:
 ვაი თუ ცხვირ წინ კენჭს ამჩნევ
 და მთას კი ვერა ჰხედაო!!
 იცოცხლე, თუ კი იცოცხლებ
 ქალი, „გაბაონს გაზრდილი“,
 თუ მტერი მხოლოდ ქორი გყავს,
 უცრად შამოვარდნილი.

1893 წ.

ბაჩანა



რთ შვენისერს ზაფხულის ღღეს მიმინო დაეცა ტარბსა და შესაჰმელათ გაიტაცა. კლანჭებში მოხეცილმა ტარბმა ორჯელ-სამჯერ გაიბრძოლა, მაგრამ იგრძნო თავის უღონობა და ისევე ხევწნა დაუწყო. „ღღეს მშიერი ვარ.“ დასჩურჩულებდა მიმინო: „ვიდროებ თუ არა, უნდა შეგჰამო.“

— „რა დავიშავე? რას მერჩი?“ საცოდავად წიოდა ტარბი: „მე შენთვის არა დამიშავებია-რა! მე ხომ არ ვიშლი ნადირობას, ხომ არ გეცილები საზრდოს შოენაში. მე მარტო კალიასა ვჰამ, ან-არა და ხილსა. გამიშვი წავიდე! ჩემი შვილები მშიერები დაიხოცებიან უჩემოთა.“

ვინ იქნება ჩემი ბუდის პატრონი? ვინ დაუბუდებს ღამე ჩემ პატარა ბარტყებსა? შემობრალე. ნუ შემჰამ! გამიშვი!“

— „სრულიად არ მებრალება შენი ბარტყები. თუ მოვასწარი და ვიპოვნე—იმათაც შეგჰამ. მე თითონ მშიერი ვარ და უნდა შეგჰამო. მეც ხომ, შენსავით, კალიას არ დაუწყებ ჰამასა“. უპასუხა მიმინომ და უფრო ძალიან მოუჭირა კლანჭები. აღისფერ სისხლის წვეთმა ამოჰყენა კლანჭებს ქვეშ, იაგუნდისფრათ შედგელდა ჰაერზე და წითლათ შეღება ამოჰტკენილი ბუმბული. ღრმათ გაუჟდა ტარბსა რკინის კლანჭები; ნემსებივითა სჩხვლეტდნ მას ისინი; ამოსუნთქვას უშლიდნ; მთელი სხეული საშინლათ სტკიოდა; ყოველი განძრევა საცოდავათ აწივლებდა. საწყალი ტარბი! მთელი ბუნება სიცოცხლეს, ხარობდა მარტო ის იყო უბედური, მარტო ის იყო სიკვდილისთვის შეწირული. ტარბი ხედავდა მწვანე მინდრებსა, მთებსა, ხედავდა როგორ ნავარდობდნ იმისი ამხანაგები—იმას კი თავისუფლათ ვერ ამოესუნთქვა

უღონოთ მოსწყდა კისერი იმედგაწყვეტილს. თავი მკვდარივით ჩამოჰკიდა; წივილი შესწყვიტა.—„მოკვდა.“ გაიფიქრა მიმინომ

და უფრო დაეშურა, რადგანაც ცოცხალი ხორცი უფრო უყვარდა, როგორც საერთოთ მიმინოებსა. მაგრამ სიცოცხლე ჯერ ისევ ჰფეთქდა ტარბის გულში; პატარა ავთმყოფის ტენში იღვიძებდა სხვადასხვა სურათი წარსულის ცხოვრებისა. აი, ჯერ ნახევარზე ტიტველა ბარტყია, დედას მალმალე მოაქვს კალია თავის შვილებისათვის, რანაირათ ზრუნავს, რა სიყვარულით უვლის თავის ბარტყებს! აი, დადგა ის შეენიერი დღე, როცა თითონაც დაიწყო პირველათ ფრენა. რა სინარულია პატარა ოჯახისათვის! ახლა თავისთავათ შეუძლია საზღვს შოვნა, თავის შენახვა. ახლა თითონაც ესმის თავისი მოვალეობა, რადგანაც დედამ ყველა თავის ცოდნა გადასცა. სინარულით ჰგონობს თავის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და არა აქვს საზღვარი იმის მხიარულებას...

აგერ საქმეც გამოუჩნდა: ვილაც კაცი მოვიდა შორიდან, ინადა პარაკლისი წმინდა იაკობის წყაროსთან სადაც ყოველ დღე ბანაობდა ტარბი, აამსო პატარა ლიტრა წმინდა, ნაკურთხი წყლითა და ლოცვითა და ვედრებით გასწია ჩრდილოეთისკენ. ტარბიც თან მისდიეს; იცის, რომ კალიის საყლეტად უზმობენ. აი, მიაღწია უცნობე : აგსა, სადაც კალია ამონაწერებს არემარეს. კაცმა აქაც ინადა მღ არის პირს პარაკლისი; მოტანილი წყალი მდინარეში გადაღვარა. ტარბი შეესია კალიას. მხიარული ჭიკჭიკით ომობს მათი მალხაზი ფარა. განუწყვეტლივ ქლეტს პურის მტერს; მალ-მალ იგრილებს გულსა ცივი წყლით; მალ-მალ იბანს სისხლში. ამოსვრილ ფრთებს. წუთი შესვენებისა და მერე ისევ ომი. რა სიცოცხლით სავსეა იმათი ფარა! რა ბედნიერებას ჰგონობენ პატარა გულში!

მიმინომ მიატანა ერთ უდაბურს, თვალ-გადაუწვდენელს ტყეს.

იქ ამოიჩნია ერთი მალალი ხე, დაჯდა და მხოლოდ მაშინ დაინახა, რომ ჯერ ისევ ცოცხალი იყო პატარა ტარბი. „გამიშვი.“ დაღუნებულნი ხმით გასწიელა იმედ დაკარგულმა ტარბმა. პასუხის მაგივრათ მიმინომ ნისკარტი დაჰკრა და დაუწყო ხარბათ ჭამა. ლუკმა-ლუკმა გადაყლაპა მიმინომ ტარბი; გაიწმინდა ნისკარტი, კლანჭები, მხიარულათ მიიხედ-მოიხედა, შემოჰკრა ფრთები და გასწია. როდესაც მიმინო შეუბრალებლათ ჰგლეჯდა, ტარბის კუჭიდან ამოვარდა ერთი მსხვილი კურკა და მიწაზე დაეცა. კურკა გაეხვია ხმელ ფოთლებში ყველასგან შეუმჩნეველი და დარჩა იქ უდაბნოში.

გავიდა ზაფხული, თან გაჰყვა შემოდგომა; ხეხილს ფოთოლი გასციენდა. ტყე გაშიშვლდა. მზე წამ-და-უწუმ ეფარებოდა ღრუბელს; წამ-და-უწუმ წყნარი შემოდგომის წვიმა სკრიდა და ატალახებდა მიწას. შიშველი ტყე დაღონებული ჰქმნიამდა. სამხრეთიდან მოსული ფრინველნი ფარა-ფარა იყრებოდნენ და ემზადებოდნენ თავიანთ ბინაზე; იმითი ნაღვლიანი ჟივილ-ხივილი გაისმოდა ჰაერში და უფრო დაღონების ფერს სდებდა არე-მარეს. დადგა ზამთარი, თან მოჰყვა ქლინტიანი, ბურუსიანი ღღეები, ბუნებამ დაიძინა გაზაფხულამდე. ყოველი ცხოველი ემალებოდა ყინვა სიცივეს. მარტო გაბრაზებული ქარი გრგვინვით და ღმუილით გლეჯდა არე-მარეს. ბევრი იომა ზამთარმა, მაგრამ გამარჯვება ისევ გაზაფხულს დარჩა. დაბრუნდა ისევ თბილი ღღეები; მზემ თვისი ალერსიანი სხივებით გააღვიძა მძიმე ძილიდან ბუნება. მცენარემ დაუწყო წოვა წვიმისაგან დამბალ დედა-მიწას; მათ ძარღვებში დატრიალდა ყუთიანი წვენი, კოკორი დასქდა ხეხილზე, მწვანე ფურცლით შეიმოსა ტყე. მწვანე ბალახმა მიწიდან ამოყო თავი და სინარულით დაუწყო ყურება მზეს. დაბრუნდა ფრინველი; გამოძვრა სოროდან ნადირი. ყველა სინარულით ეგებებოდა ახლად გაღვიძებულ ბუნებას.

კურკამაც იგრძნო გაზაფხულის დაბრუნება; ფოთლებს ქვეშ ილაღად გახევეულს არ უგრძნებია ცივი ზამთარი. როდესაც გაზაფხული დადგა კურკა დაღბა; ნოტიო მიწაში გაიპო შუაზე, გამოსცა ფესვი და ღრმად გაგზავნა მიწაში, თითონ კი ამოვიდა პირათ, მინამ ფეხი პატარა თავს გაიმაგრებდა, კურკა მოთმინებით ელოდა მას მიწის პირათ. ფესვი ღრმათ წავიდა მიწაში გამოიტანა ბორჯდლები და ხარბად დაუწყო მიწას წოვა. მინამ კურკამ გადიხადა სქელი ქერქი და გამოიტანა კვერცხის მგზავსათ მოყვანილი ორი პატარა ხორციანი ფოთელი, რომლებიც თან-და-თან იღეოდნენ; თავისი ხორციით ისინი აძლებდნენ პატარა ღეროსა და იმითი შველოდნენ სუსტ ფესვსა. ამ გვარათ გაიმავრა თავი პატარა მცენარმა; ფესვი გაღონიერდა; ბორჯდლები მოიმატა, საზრდოს შოვნა გაუადვილდა. მაშინ ორ წინანდელ ფოთოლ შუა ამოვიდა ახალი ფოთოლი, მაგრამ სულ სხვა შეხედულობისა. ამ ფოთოლს სამი ყური ჰქონდა და გარემომო სულ კუწუბ-კუწუბ იყო შემოკვესილი. ფოთლის ღერო ჯერ ყურთ რიცხვად იყოფოდა, მერე თანდათან ბევრად, უფრო და უფრო წვრილდებოდა და ბადესავით იხლართებოდა შიგ ფოთელში.




ამ ბადეში გახვეული იყო პატარა, იმისთანა პატარა, რომ უბრალო თვალი ვერ არჩევდა და ერთ ფრად ეჩვენებოდა, მწვანე, რგვალი ხორცები.

პირველ ფოთელს ამოჰყვა მეორე, მესამე... ფოთლებმა დაუწყეს ჰაერს ყლაპვა. პატარა მწვანე ხორცები მზის შემწვობით საჩქაროდ არჩევდნ ჰაერიდან საჭირო ჰაერგვარს და აძლევდნ ძარღვებსა. ამათ ეს სარჩო მიჰქონდათ ფესვებისკენ; ფესვები მიწიდან სწოვდნ წყალსა და შიგ გახსნილ ვეჯეულობასა (вещества), ჰგზავნიდნ ზევითკენ და ამ გვარი მუშაობა განუწყვეტლივი იყო. მცენარე ითვისებდა მოპოვებულ საზრდოსა, შეცვლილსა მზის შემწვობით და იმითი იზრდებოდა.

დიდი ჯაფა უნდებოდა ნორჩ მცენარესა საზრდოს შოვნაში. გარეშემო ბალახი ეცილებოდა მას მიწაში საჭმლის შოვნას, დიდრონი ხეები უჩრდილებდნ მხეს, სხვა-და-სხვა ქაები სჭამდნ იმის ფოთლებს, მაგრამ ის სუყველას მოუღალავათ ებრძოდა, მოუღალავათ მუშაობდა და თან-და-თან იზრდებოდა. გაიარა რამდენიმე წელიწადმა. ნორჩმა მცენარემ გაიკეთა მაგარი ძარი და გრძელი მოქნილი ტოტები. „სინათლე მომეცით, სინათლე!“

სთხოვდა ის თავის მეზობლებსა.— „ჩვენ თითონაც არა გვაქვს საკმაო სინათლე, უპასუხეს იმათ: ჩენი ფესვებისთვისაც ვერ გვიპოვია საკმაო ალაგი, აბა, სად მოგითავსოთ შენა, რათ გაიზარდე აქა! ხომ ხედავ ჩვენ თითონაც რა ვიწროებაში ვართ!“ „ჩემი რა ბრალია ეუბნებოდა მცენარე. აქ დამთესეს და აქ ავიზარდე მე, თქვენ არას გიშლით, მე ჩემთვის ვიზრდები, მხოლოდ სინათლე მომეცით!“ გაბრაზებული ხეხილები მზის დაჩრდილებას ცდილობდნ, იმის ფესვებს საზრდოს ართმევდნ, მაგრამ ნორჩი მცენარე თავისას არ იშლიდა და ჩრდილში უფრო მაღალი იზრდებოდა. ბევრჯელ გაუკორტნა ფოთოლი დამშეულმა ირემმა, ბევრჯელ ატირა ცხარე ცრემლით, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა. გამოჰქონდა ახალ-ახალი ფოთლები უფრო მწვანე და უფრო სალი, მაღლა და მაღლა მიჰქონდა მწვანე ქოჩორი. მარტო ერთმა ნორჩმა ალვის ხემ შეითვისა ის მთელ მეზობლებში.

ჩემკენ მოიწიე, მე ჩამოგვეცლები სინათლიდან, მე არას ვერჩი შენ ფესვებს; ჩემი ტოტებით დავფარავ სეტყვისგან შენ მწვანე ნახ ფოთლებს; ჩემგან შეფარებულს ველარ გაგიბედვენ დენას სხვა ხე-



ხილები; ორივეს ერთათ უფრო დიდი ძალა გვექნება მაგათზე: ეგენი ბებრები არიან და ჩვენ კი ნორჩნი. ჩემკენ, ჩემკენ ჩემო ნაზო; მაგრა მომკიდე ხელი უშრიალებდა ალვის ხე და ტოტებს აწვდენდა თავის მეგობარს. გაინხარა ხეხილმა, ძლივს იმისთანა მეზობელს შეეყარა, რომელმაც ის შეითვისა და სიხარულით გარეშემო ცქერა დაიწყო.


ახლა აღარავენ იყო იმისი მზის დამბნელებელი, აღარავენ შეეძლო საზრდოს წართმევა იმისი ფესვებისთვის.

მზე ყოველ დღე დაჰყურებდა იმის მწენან ფოთლებს, ფრინველნი სიხარულით ქლივილით დასტრიალებდნ მათ, ბალახის მამოვარ პირუტყვეთ აღარ შეეძლოთ იმისი ტოტების გაკორტნა. გარეშემო ხეხილები სიშურიით შესცქეროდნ იმათ მეგობრობას; ბრაზ მოსულნი უფრო ძალიან ცდილობდნ იმათ დაჩაგვრას და უქნევდნ მუქარით თავსა. „ენახოთ, რა დღე დაგადგებათ თქვენა! დიდხანს არ გაცოცხლებთ ორივესა, ორივენი უნდა მალე გახმეთ.“ ეუბნებოდნ მეზობლები.

გაირბინა რამდენმამე ათმა წელმა, ბევრი ქერქი ასძვრა ჩვენი ნაცნობი ხეხილის ძირს ბევრჯელ იცვალა თავის სამყურა ფოთოლი ბევრი თავობა ფრინველი ითვისა იმისმა ტოტებმა. ის იყო გაზაფხული დადგა. მცენარემ გამოიღო ახალი ფოთელი და მზეზე ხარობდა; იმ უდაბურ ტყეში გაისმა აქამდის გაუკონელი ცულის კაკუნი, კაცი შემოერია ტყის მცენარეს და დაუნდობელი ხელით დაუწყო გამონაერება.

შეკრთა და დაღონდა ალვისხე, როდესაც გაიგონა ის ხმა და უფრო მაგრა მიეკრა მეგობარსა. „ნეტა ჩვენამდის მაინც არ მოაღწიოს“ უჩურჩულებდა მეგობარს. ყველას ბატონი მიწაზე, კაცი, არ იშლიდა თავისას და კაკუნი უფრო-და-უფრო ახლო მოისმოდა.

ერთ საღამოს იმან მიაღწია ალვის ხემდის და გაკვირვებით დაუწყო მათ შინჯვა. „ეს ხომ ვაზია, წარმოსთქვა იმან, აქ საიდან გაჩენილა ეს, ან როგორ გაზდილა? ეს ნაყოფს არ გამოიტანს, თუ არ ემყნო,“ — დაუმატა იმან და გაბრუნდა წასასვლელათ! „გადაერჩით!“ სიხარულით წასჩურჩულეს ერთმანეთსა მეგობრებმა, გარეშემო ხეებს კი ჯაერი მოუფიდათ. პატარა ხანს შემდეგ კაცი ისევ დაბრუნდა. იმან ამოიღო წელში გარკობილი რკინა და ხახუნი დაუწყო ვაზის ძირსა. ვაზი შეკრთა, შემინდა.




ყოველი ფოთლით დაიწყო თრთოლა. „ახლა კი მოვეკვდი!“ წარმოსთქვა იმან, როდესაც კაცმა მოაშორა ძირსა. ალვის ხე დაღონდა, სხვა ხეხილებს კი გაუხარდათ. კაცმა შუაზე გააპო ვაზის ძირი, შიგ რაღაც ჩხირა ჩაასო, ზევიდან დაადო მალამო დაჭრილ ალაგსა და მაგრა შეეხვია მჩვრებითა. მერე აიღო ცული და მიჰყო ხელი მუშაობასა.

კარგა ხანს იყო ავით ვაზი, მაგრამ ისევ სიცოცხლემ აჯობა: ჩხირმა გამოიტანა იმისთანავე სამყური ფოთოლი, როგორცა ჰქონდა. ადრე ვაზსა და დაიწყო შრომა.

გაიარა კიდევ ნახევარ საუკუნემ. იმ ალაგას მოგონებაც აღარ არი უდაბური ტყისა. დიდხანია მოკვდა ის მიმინოცა, რომელმაც იმ ალაგას ტარბი შეჭამა ახლა იქ დასახლდა კაცი; ტყის ალაგას იმან გააკეთა სახნავი და ვენახები. დიდრონი ხეები ზოგი დიდ ქალაქში გაჰყიდა, ზოგი ბუხარში დასწო...

აღარა არი-რა მომგონებელი წარსულისა. მარტო დარჩა ალვის ხე და ზედ შეხვეული ვაზი, რომელიც შეკუნძლულია ყოველ შემოდგომას, დიდრონი ტკბილი ყურძნის მტევენებითა. მაგრამ ორივენი, ალვის ხეცა და ვაზიცა ძნელი საცნობნი შეიქმნენ, ისე გაიზარდენ და ისე განიერათ გაშალეს თავიანთი ტოტები.

შუადღის ჟამს, როდესაც გრილი ნიავი ნაზათ ეჩურჩულება მათ ფოთელს, ახლაც ისვენებს კაცი იმათ მწვანე კარავ ქვეშ და იგრილებს სიცხისაგან დამწვარ შუბლსა.



მდიდარი და გლახა

(ლეონდა - ზღაპარი)



იდებულთა მდიდართ კარსე,
ბევრი ცოცხავს ჭიაღუა,
და ერთი კი კაცი არის,
მოარული იმათ შუა.

მდიდრის სუფრის დანაბერტყით
იკვებება გლახა გლახათ,
და ესეც არ უყაბულეს,
გაიმეტეს გასაღასად!..

მაგრამ დადგა ეველასათვის
უცილობო შავი წამი:
გლახა მოკვდა, ანგელოზთა
წასავენეს მისი გვამი;

სეციური გალობითა
მიაბარეს იგი მიწას,
და სამარეს ცით ნათელი
დაავენეს იმავე წამს!...

დიდიც მოკვდა, გაშავ-კუზრდა
მისი მზე და მისი დილა;

მის დიდება ამ სოფლისა,
 იმ სოფელში დაიწმინდა!

წუთი სოფლის ტანჯულები
 დაინახა ბედში მეტად,
 იმათ შორის კლასაც იგი,
 მის საფლავსე შუქი სვეტად!..

შეადარა თავის თავი
 კლასის ყოფნას, დაიკუნესა
 და სთქვა: «რაც აქ ამბავია,
 ჩემ შვილებსაც ამცნო ესა».

რომ მათ მანც განიკითხონ
 უველა მწარედ დატანჯული,
 თორემ ჩემი, კარგათ ვიცდი,
 გვიანდაა სინანული!!!


ზეზუა.



სათაგვეთის ამბები

კუდგძელი წრუწუნა თხილიპარიაშვილის ნაანბობი.


მეორე ამბავი.



მთავრებმა აგვიკლეს, აღარ არი ამთ-
 გან მოსვენება, ლამის დაგვჭამონ ამ
 ოხრებმა, თუ ერთი დიდრონი კატა არ
 ვიძოვნე არ იქნება,» მკაფიოდ მოგვეს-
 მა სევიდან. კატის ხსენებასე ეველანს
 ფერი გვეცვალა.

მე კუდგძელი წრუწუნა თხილიპა-
რიაშვილი, მკონია, გაგეკონოთ ჩემი
 სასელი, დამწვარ მჭადის ქერქსა ვხრავ-
 დი; თურმე შიშით კბილებიდან მჭადი
 გამეარდა, ჰირი დია დამჩინოდა და
 სანამ ერთმა თავგმა, სასელად «გადაფ-
რინდა» ჰირი არ დაავლო და არ გაქ-

რა, ველარა გავიგერა. სომ არ გამოვეკიდებოდი ამ ჩემის
 კუდით და შერჩა, შერჩა ტყუილად კი არ ვეძახით «გადა-
 ფრინდას.» ეჭვ, აღარც მინდოდა გეთაყვა, წაიღოს, იმის-
 თვის მადლია. კატის ხსენებამ მადა სულ დამიკარგა. ევე-
 ლა შიშმა აიტანა. ეკონათ, ამ საათში აქ დაიბადება კატა,



სულ სისხლიდან დაგვცლის და ქურქებს შემოგვაფლეთავსო. ღმერთმა უშველოს, ისევ ეომრალმა შეგვაგულიანა.

— ძამა გიცხონდება, თუ მოიყვანე, სათაგვეთში არ ჩამოგვიტყეს და ცინე-ქალაქი არ დაგვინგრიოს, რას გვიზამს, დიამც ის გვიყოს, მძლავ ადარ აგვიძვას. სისხლიანს გვერდს, შვილო, ტალახიანი გვერდი სჯობია.

სახუმრო კი არ იყო თაგვებისათვის ძართლა თუ კატას გაიჩენდენ. აქ რადას დაგვედგომოდა, უნდა გადავხვეწილიყავით სადმე, ახლა აურა-დაურა, განა ადვილი საქმეა!?


ზირველად რომ თაგვებს უბედურობა გვეწია, მას შემდეგ ისევ, მობეგრდა სათაგვეთში ახალგაზდობა. მოგესვენებათ ჩვენი ჯიბი ძალიანა მრავლდება. რაც გაჩნდება, რო ეველა გაიზარდოს, ჩვენ გვარს ქვეყანა ვერ დაიტყვის. მაგრამ ეველა ჩვენი მტერია, ეველა ჩვენს განწევრებს ფიქრობს, არ ვიცი, ვის რა დაუშავეთ, — კაცი, კატა, ევაგი, ეორანი, კაჭკაჭი, ძერა, ბუ და ათასი სხვა. ესენი ვერც ერთი ვერ მოგვაგნებს ჩვენ სათაგვეთში, იქ რომ სხვა საშინელი მტერი არა გვეავდეს — თრითინა. დაუკლის ბუდეებს, დიდრონები იქ რას დაუდგებით, მოასწრობს ღლანებს და ქლეტს უწყალოდ. არ გავძრავლდებით, ძარა ეშმაკი და ქაჯია.

— ჭო, ის უნდა გიამბოთ. საშობათ შეგირდები დაითხოვეს. დარჩა ცარიელი ოთახი. ახლა იქაური ავლადიდება ჩვენ ხელთ იყო. ეველანი იქ ავედით. ბებრებსაც ბუდიდან კუდით ვათრევედით, იქ ამოცოცდენ. ეველას ის გვეგონა, იქ ღმერთი მანანასა ჭერისო. გავრბოდით და გამოვრბოდით, ვჭამდით, ვსრავდით, ვქეიფობდით მთელი

სამი-ოთხი დღე. რას მოვიფიქრებდით, თუ გათავდებოდა ნამცეცხები, როცა მოვასუფთავეთ ეველფერი, არსენად დავბრუნდით სახლში და ღამე ღამისათ დავიძინეთ. მეორე დღეს ისევ იმ გულით გავწიეთ, ისევ ბერი დაგვსვდებოდა. ის შენს ძეტს, რაც იქ ჩვენ დაგვსვდა! ცარიელი სტოლების მეტი იქ აღარაფერი იყო. რაღა იქნებოდა, შერცხვენილები, გაწბილებულები, მძივრები, დარდიანები, რომ შავ დღისათვის არაფერი გვექონდა შენსული, ვბრუნდებოდით შინა. ის დღე როგორც იყო მოვითმინეთ შიმშილი აღარ გვეშეებოდა, მუცელი აღარ ითმენდა, თანდათან ძან გაძლიერდა შიმშილი. ნამეტნავად ბებრებსა და ბავშებს გაუჭირდათ. ბებრები ფეხს ფშეკდენ. დედებს რძე გაუშრათ და ურძეობისგან ღლანების საცოდავად წრინებდენ, ყრილობა ვქენით; ვილანაარაკეთ, ვარჩიეთ, ვერაფერი ვერ მოვიგონეთ. შიმშილმა ჰკვიანებიც კი გამოგვყარა. ისღა გადავწვივით მინდორში კაცი გაგვეკვანა შესატყობათ, იყო რამე სამოვარი, თუ არა.

— ამბის შესატყობად ფეხმარდი «გადაფრინდა» გავკვანეთ. რას იპოვნინდა, ისე იყო თურმე თოვლით დაფარული არემარე, რომ ერთი ფოთლის ტელა მშრალი ადგილიც ვერსად ენახა. ერთი ჰურის მარცვალი, ერთი ბალახის თესლი, ერთი მარცვალი საჭმლისა არსად რა იყო. მარტო ქარი ჰქროდა და თოვლს ზიდავდა.

ის წვეული ევაზიც დამჯდარა მხრებ დაშეებული კაკლსედ და ჩამოსტირის თავშირი. დანახა თუ არა გადაფრინდა, ევაზი მაშინვე ძირს დაეშვა, დაჯდა თოვლსედ და დაბაკუნებს იმ შავ ფეხებსა.



— იმასაცა ჭმინ, იფიქრ გადაფრინდამ. საწყალი როგორ ეძებს!

— ევაგმაც იცის, რომ გადაფრინდასა ჭმინ. თორემ ამ დროს მამლარი გარეთ რათ გამოვა. ჩემს სიმძილს კარგათ მოუხდება, თუ ერთი ხელში ვიგდე, ფიქრობს ევაგი.

რა ბედზე გამოველ დღეს დილით, განაგრძობს ევან-ხალია, ერთი თვეა ჰირი არ გამოხსნილებია, თითქო ბერე ვიყო. შავები რომ ძაცვია, ბერად ხომ არ შევმდგარვარ ჯერ. ვიდევ ბლომად დრო მაქვს, ცოდვები მოვინანიო. ლამის სული ამომძვრეს ხმელს უგემურს მარცვლებზე. უნდა როგორმე მოვიტყუილო ახლოს, ამბობს ევაგი, და დაუწყო ევაგმა თოვლს განკებ კენკა, ვითომ საჭმელი იზოვნა. ნისკარტს აღარ აძორებს, ზედ დასტრიალებს.

— ჭო, ბიჭოს, იფიქრ გადაფრინდამ, ამ ქათამმა ბლომად იზოვნა, მეც მერგება რამე და სინარულით განსწია ევაგისკენ. გადაფრინდა ერთს ბარის ჰირზე მიუახლოვდა ევაგსა.

ევაგი ჭხედავს, რომ გადაფრინდა იმისკენ მიდის, სიმსუნავით თითო მუშტის ტოლა ნერწყვსა ჭელანავს,

— იე, იე! რა კარგია, რა მიაძება ამ ცივს გულზედ თბილი ჩიჩია! ფიქრობს ევაგი და აკი ხმა მალლაც არ წამოსცდა ეს კმაყოფილებს და ერთი მადიანათ დაიფიქრა— ევან!

— «ევა» ესმა თუ არა გადაფრინდას, ერთი ისე გადმოხტა უკან, რომ კინაღამ იქვე სული განსცვივდა. მიწის გადაფრინდა, მიწის როგორც ცხენი, მიფრინავს როგორც ჩიტი, მიწის როგორც ირემი!

ერთხანად ევაზი შეკრთა იმედგაცრუებული, ჰიჩი გაღებული დაწინა. გადაფრინდას კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი, ევაზი მაშინღა მოვიდა გონებას, ჰიჩი განცმაცუნა, ხორცის მიძევს თუ არაო, მოჰკრებ თვალი გაქცეულს გადაფრინდას. იქნება კიდევ დავუწიოვო, იფიქრა და გამოეკიდა მეოტსა, ქვეითად კი არა, ფრენით. მისტის გადაფრინდა რაც ძალი და ღონე აქვს, მისდევს ევაზიც. კიდევ, კიდევ და სწვდება ევაზი გავაში გადაფრინდას.


გადაფრინდაც ევაზის ნისკარტს თითქოს ზურგზედ გრძნობს. მაგრამ, აი, იატაკ ქვეშ შესასვლელი ხვრელიც.

ცოტა კიდევ და გადაფრინდამ შეეო თავი ხვრელში. მოუქნია ევაზმაც ნისკარტი, აუცდა საწყალს და ერთი ისეთი დასთხლიმა კედლის ქვას, რომ ნისკარტი ორად გაუსქდა. გადაფრინდა კი ამ დროს მშვიდობიანად შევიდა სათაგვეთში.

გაწილებული ევაზი სისხლიანი ნისკარტით განიპარა თავის ბინაზედ.

ეველა მოუთმენლად მოველოდით გადაფრინდას დაბრუნებას. საწყალი ისეთი აფორთქლებული შემოვარდა, რომ ჩვენც კინაღამ გული გაგვიხეთქა. სანამ წყალი არ დალია და გული არ დაიმშვიდა, ვერაფერი გვიამბო. მერე როცა გონებაზე მოვიდა, გვიამბო თავისი თავგადასავალი და თან უსაჭმლობაც. სათაგვეთში მცხოვრებელნი ერთობ ეველანი დაღონდენ შიშშიღმა ძალიან გაგვიჭირა საქმე.

აქამდი დაფიქრებული ყომრალი ახლა ფეხზე წამოდგა, წამოდგა და დაიძახა სძა-ძაღლა:



— ხალხნო და ჯამბათნო! ისევ აქვე ვეძებოთ ჩვენი სასწრაფო, კარეთ ვერაფერს ვიძოვითო.

— ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ, აბა, გვითხარ სად და როგორ? შეეკითხა ხალხი.

— მასწავლებლის ოთახში ავჭრათ გზა, თუ ვინაზუნით, იქ ვინაზუნით საჭმელს, თუ არა, მერე თავს სხვა-ნაირათ მოუაროთ, სთქვა გადაფინიდან,

სწორეთ კარგი აზრი იყო. დასწყევლავ ღმერთმა, აქამდინვე როგორ ვერ მოვიფიქრე მე კუდგებელმა, სიმძილით რაზედ ვინაცუებოდით. თქმა და ქნა ერთი იყო. მაშინვე შევუდგეთ საქმეს. ისე ვზრავდით ფიცრებს, თითქო მჭადის ქერქი არისო. ერთს ღამეზე მზათ იყო გზა. გაქცეული ოროლი თაგვი ერთად გავარდებოდა.

აუვაზ ხვრელიდან თავი; ვათვალთვლებ, აბა, ვინ არის სასაღმისო, შეიძლება ასვლა-მეთქი, თუ არა. ვხედავ, ერთი ძაღალი კაცი მარტოკაა ზის, უჭირავს ხელში რაღაცა, გაუბამ ზედ ძაფები, აცურებს ზედ თითებს, ძაფებიდან ისეთი ხმა გამოდის, რომ ამოდენა კაცი გავიზარდე, ჭაღარა გამოძერძას და იმისთანა აწსად გამიგონია. ეს ძაფებიც, რა ვთქვა, ზოგი ბუზურასავით ბუზის, ზოგი წმინდა ხმაზე წივის, ზოგი სტვენს, ზოგი ვერცხლის შიბივით ზრიალებს. შეწეობილან ერთად, შეხამებულან, ისე მძვენირად უბნობენ რაღასაც ჩემს უცნობს ენაზე, რომ სიმძილი სულ დამავიწყდა. თვალები დავაჭყიტე და ყურები ვცქვიტე. ვინ იცის, რამდენს ხანს ვიჯდებოდი, რომ იმ კაცს არ შეეწევიტა ის ტკბილი ხმები. გულ-ნატკენი სათაგვეთში დავბრუნდი. ეველას ვუამბე იქ ნახული და გა-

გონილი. ეველამ მოინდომა იმისი ხმის გაგონება და თავი მოიყარეს ასავალ ხერხელთან. ვუცადეთ, ვუცადეთ, აღარ მოგვესმა ხმა. მერე ზოგი და ზოგი ამჯერე გასაგებობდ, სად იყო მასწავლებელი. წასულები კაი მძიმე ბარკით დაბრუნდენ. ზოგი მჭადს მოათრევედა, ზოგი ჰურსა, ზოგი ნიგოზს, ზოგი მსხლის ნათალსა. მოლოდინში, მადლი მოგვივიდა დაუმესით. სანამ ჰატრონი მოვიდოდა, ორიოდე გზა კიდევ ჩამოიტანეს და ეველანი დაუმესით სათაგვეთში. ძალიან დავიტიკენით და ზედ სიამოვნება და გართობაც მოგვინდა. საღამოს მოველოდინეთ. მოვიდა ის კაციც, ჩამოიღო საკრავი, დაჯდა, ჯერ რაღაც ააჭრიალა, უჭერდა რაღასაც, მერე გაასუზუნა და გამოასუზუნა. ჩაჭკრა თითები სიმებსა, დაიწვეს სიმებმაც ძღერა. ზოგი სწუხდა ზოგი მხიარულობდა, ხან გაჩუმიდებოდენ, მისწევებდენ ხმასა, თითქოს სულს ვეღარ იქცევდენ, იბნიდებიანო, მერე ისევ აამაღლებდენ ხმასა და ერთმანეთში რაღაცა წეობილი ბაასი ჭქონდათ.

მე ქვეშ კულ ამოგებული ვიჯექ და სიამოვნებით უღვაშებს ვიგრენდი. მე ასე ვზივარ და ჩემს უკან ხმაურობა მომესმა. შევხედე, ეველა მოიწვეს დასანახავად და გასაკონადა. გადაფრინდა მოსულა ემსხედ, გაუშვერია კული, დაუბეგია წვერები, დაუტევერეცია თვალები და ხტის, ხან ცალ ფეხსედ შედგება, ხან ქორხე ბრუნავს, ბუქნაობს, თამაშობს, შუშრობს, როკავს, ერთს ამბავშია. აჭყვენ ამას სხუებიც, გაიძართა თამაში და ღხინი. ახ, ერთი კაი ტაშის დამკვრელი! ხტინ თაგვები; ახტებიან ერთმანერთს ზედა, ფრინვენ, გარბიან და გამორბიან, ხმაურობენ და



წრუწუნებენ. კეისარის ქორწილშიაც არა ეოფილა ამისთანა ლხინი და განსარება ახ, ერთი ის საკრავი ნეტავი ჩემი ქნა-მეთქი, ვიფიქრე.

მოახლოვდა ახალი წელიც, ტკბილეულობის დღე. უნდა წინათვე სამხადის შეგდგომოდით, თავდარიგი დაგვეჭირბ. არაფერი კი არა გვექონდა, ქალაქს ვერავის გავუგზავნიდით, დიდი გზაა, მოგვესწებათ და ისევ ჩვენი ძველი დალოცვილი ხელობისათვის-ქურდობისათვის უნდა მიგვეძარბათ.

ღვთით, თუძცა არაფერი გვექონდა, მაგრამ ახალწელიწადს კარგი კოკლოშინობა გველოდა. დილისათვის არაფერი არა გვექონდა, მასწავლებელი შინ იყო და სულ იმედი გადავიწვიტეთ, ეგ არის ტკბილეულს ვერ ვეღირსებითო. ურიას ერთი დღე ერგო და ისიც შაბათით, ისე იყო ჩვენი საქმეც. მოწყენით ვიყავით და ადრე დავიძინეთ. ღამე ერთი კაი სიძმარი ვნახე: ვითომ სათაგვეთში გამლილია ერთი ლამაზი სუფრა, რა გინდა სულა და გულა, იქ არ ეწეოს. მხოლოდ ჩვენები არსადა ჩანან. მიჭზარვია გადაფრინდა, იზარავს ტკბილეულებას და თავის სორბში ეხიდება სულა. ველარ მოვითმინე. --აი შე ქურდო, შენა მეთქი, განა ჩვენ არ გვინდა ჰირის გატკბილება, რომ სულ შენ მიგაქვს-მეთქი. ბედნიერი დღეა, რად დაგვეკვებოს სიღარიბე-მეთქი და ჩემს ყვირილზე გამომეღვიძა. გადმოვსტი ბუდიდან, იქნება მართლა ვინმე რამე მოგვიტანაო. მაგრამ ვის რა მივაბარეთ, ვინ რას მოგვიტანდა.


მარტო ჩალიანი ბუდეები მოსჩანდა; თავგები ხვრინავდენ; ზოგს გაჭლავიძებიყო, წამოეყო თავი და იჭეიტებო-

და. თენდებოდა, სინათლე ძაფებივით შემომძვრალიყო სა-
თაგვეთში. რაღა დამაძინებდა. კულავ ამ დროს ჩამომიყ-
ლია სათაგვეთში, შაქარით და თაფლით ეველასთვის მი-
ბილოცნია. სწვებიც ადგენ და დავიწვეთ სმაურობა. შაქ-
რი და ტკბილეული არაფერი მქონდა მისალოცად. სახლ-
ში ერთი თეთრი ბამბის ქულა მეგულებოდა, ვთქვი, ღა-
რიბი ხალხიც ამითი ულოცავს-მეთქი ერთმანერთს და
ჩვენც მიულოცოთ-მეთქი, რა სირცხვილია. ჩამოვუარე და
ეველას იმით მიულოცე, ასე თეთრად დაბერდით, ასე თეთ-
რის წვერითაო. რას დავემდურებოდით ერთმანეთსა. რა-
ცა გვექონდა, იმით შევექცევოდით.

— არა, შვილო, ასე არ იქნება ახალწლის გატარება,
სადაც იყოს, ან ძალით, ან ნებით უნდა ვიძოვოთ რაძე.
«მეძახიან მელეოსაო, ბარემ კიდევ მერქოსაო, ძალდა
ავალ, მოვისუნსლავ, ეგებ რაძე მერგოსაო. ვისაც ვინდათ,
თქვენც წაჭყევით, სადაც წავა გადაფრინდა, ჩემა მზემა
იმდენს გაჭმევთ, სულ იძახდეთ «აღარ მინდა!» წამოგვემ-
რახა გადაფრინდა შაირობითა.

— ხა, ხა, ხა. გაიხარხარა მთელმა სათაგვეთმა ევა-
ზე მანც გამოგეთქვა ერთი კარგი შაირი. დუმა რომ
კინაღამ ჩამოგაცვალა, მოსძახდენ სიცილით ჯეელები.

თქვენ კარგათ იყავით, არც იმისთვის მომინდება შაი-
რის ვიდუა, უხანუსა სიცილით გადაფრინდამ. ერთი კუ-
ჭი მოვიმადრიელო ცოტა, რომ კარგს გუნებაზე დაგვა-
უენოს. ლექსები მერე მომკითხეთ. იმდენი ვიცი ლექსები,
ტირიფონასე გძელია, რომ წამოგვიდოთ ზურგსედა, მგო-
ნი მოგწვიტოთ წელია; გაიძობოთ, ერთ წელს ვერ მო-
თვლი, ვეღარ შეიძლებს ეელია.



ამ ლაზარაკში და ბასსში მხესაც ძალა წამოეწო-
ლო. გადაფრინდა წამოხტა და გასწია ხვრელისკენ ჩვენ
ზოგი ბუდეებს ვალაგებდით, ზოგნიც პირს იბანდენ და
იწმინდებოდენ.

— თაკვებო, თაკვებო, თაკვებო! მოკვესმა ერთი ევი-
რილი და ღრიალი ცოტა ხანს უკან ხვრელიდან. ეველა-
ნი შეკრთენ. შევხედოთ? ზოგი სად შევძვერით, ზოგი სად,
მივიძალამოვიძალაეთ, კუდები ლა გავკვიშვერია. სადღა ვინ
არის. ერთს სულიერს ვერა ჭნახავ. გვეონია, გადაფრინდა
დაიჭირა რამემ, სჭამს და, აი, ეს არის ჩვენც დაგვაჯდება
და შეგვეჭამს.

კიდევ მოკვესმა ხელმოკრედ ევირილი. გადაფრინდა
ევიროდა. ზასუხს არაჟინ აძლევს. ვსთქვი, რაც მომივა,
მომივა-მეთქი, ავდგები, ვნახავ, რა ამბავია. ამოვძვერ ბუ-
დიდან. ამ ღროს გადაფრინდაც ჩამოხტა ხვრელიდან.

— ხა, ხა, ხა, გაიფხრიწა სიცილით გადაფრინდა.
თქვე ჩემი ცოდვით სავსენო თქვენა, რა კატის ჯარი და-
გეცათ თავსა, ან თრითინის ლაშქარი; რას იძლებით,
ადეგით ჩქარა, საშოვარი ბევრია. ოთახის ჰატრონი წა-
სულა სადღაც, იქაურობა სავსეა საეკოლოწინავებელით.
სიკეთე მოგეცეს მაშინ ეველა წამომგრა სუფრებიდან. დი-
დი — ჰატარა სულ ფეხზე დადგა.

გაკვიძლავ გადაფრინდა და დოსტოლრიკ ოთახში ავე-
დით. ზოგი სად დარბის, ზოგი სად, ვეებოთ, ვჭევენავთ,
გავრბივართ, გამოვრბივართ. ვინედებით ქვაბ-ქოთნებში.

აკი, სტოლზე შევიხედეთ, — ცხონდა მამაშენი! რა ვინ-
და, რომ იქ არარის დალაგებული ლამბაქებზე: თაფლი,

გოზინაუი, კამფეტები, სმელი სილი, მურბები, იქვე კოვ-
სი, არაუი და ჭიქა.

— იმი, იმი; იმი! ესეც ახალი წელი! ჩვენსე კარ-
გი ვინ მოულოცავს მასწავლებელსა, იმისი მესობლები
ჩვენა ვართ, მოდით! შევბრით სტოლზედ, დავეცენით ამ
ხილს, ზოგი თხილსა ჭხრავს, ზოგი კამფეტს, ზოგს თა-
ფლში ჩაუყვია ცხვირი, ზოგი ნიკოზის ჩურჩხელა ებრძ-
ვის, როგორც დავითი გოლიათსა, ზოგი გოზინას გიან-
ლებათ, გაჭკვრიან კბილებსე და ძლივსა ღეჭს. მოუ-
ნაყრდით, მოვქენით, მერე რიგსე დავსხედით.

— მოიტა, ბიჭო, დაიძახა გადაფრინდაძ, დავლიოთ ე
არაუი. თუკი კაცები სმენ, ჩვენ რაღა დაგვეძარტა, რომ
ვერ დავლიოთ.

დავასხით და ჩამოვაყოლოთ. ძან მწარე იყო, სულ ე-
ლი ჩამწვა და მახველა. ძანც ეველამ დალია ცოტ-ცოტა
და სადღეგძელოებიცა თქვეს. შევექიფიანდით, ვბრით, ვწ-
რეწუნებთ. საკრავიც იქ აუუდებულა! აბა, ამასა ჭკვიან
დროების გატარება! ძალიან გავინარეთ.

— აბა, გადაფრინდა, ერთი შეგვაქციე კეთაყვა, ერთი
დაუკარ გენაცვა, ვენვეწებოდით ეველანი. გადაფრინდაც
დიდ მცოდნესავით მოუჯდა საკრავსა, ჩაქოქდა, ხან ფესს
უსვამს, ხან კბილსა, წივიან სიძებიც. ვიცინით, გვიხარია.
თან ერთ დიდ ქალიან კამფეტს დავაგლე ხელი და ამო-
ვიდე კვერდზე, ჩემს სტოლსაც კარგათ მოუხდება-მეთქი.

— ერთი დაჭმლერე, დაჭმლერე შენებურად, ძაირი თქვი,
ძაირი! ესვეწებიან იქით-აქეთ გადაფრინდას. ერთი ევაგი
ბალექსე, ის ვერანი. გადაფრინდაძაც შეგვაქცია:

„სანადიროდ გამოსულა
 დაყმენილი ყვანჩალია,
 კაკლის ტოტზე ჩაქოქილა,
 მსუნავი და ავთვალა.
 ნატრობს ნეტა მაპოენისა
 ერთი პურის ნათალია.
 თუნდა მკედარი კატა ნახოს,
 თუნდა ძაღლი დამრჩეალა,
 ყველას ისე ვიახლებათ,
 ვითომ კარგი სათალია;
 ქურდია და ქურდბაცაცა,
 მელა ტურას ბადალია,
 მეც კინალამ მიმიტყუა,
 ის მეგონა ქათამია ..“

არ გაეთავებინა, რომ უცებ კარები გაეღო და მად-
 ლი კაცი წამოგვადგა თავსა!

აბა, ვინაც შეგიძლიათ, ან მუხლი გაქვთ და ან თვა-
 ლი! ისე წამოვხტით, რომ არცკი გაგვიკია ტეპანტეუპით,
 როგორ გადმოვიტანეთ ერთმანერთი ძირსა და თან არა-
 ყიანი ბოთლიც. ლაწ! მოისმა. ბოთლის ნამტვრევები იქით
 აქეთ მოიფანტა და არაყის წინწკლები კედელს შეესსა.
 ხვრელში ერთმანეთი სულ ფეხით ჩავიტანეთ. როცა მოვ-
 სულიერდით, გვესმოდა, როგორ ჰკრეფდა მასწავლებელი
 ბოთლის ნამტვრევებს კარეთ გადასაყრელად.

თ. რაზიკაშვილი.



ჰატარა ანასტასია

(გუძღვნი ჩემს ქალს,)



სწავლე შეილო! სწავლული
ენათობი მზისა დარია
უსწავლელ ცოცხალს სჯობია
სწავლული თუნდა მკედარია.

უსწავლელისთვის მუდამ სთოვს
სწავლულისათვის დარია,
ვინც ამას ვარ ყოფს, შენ გფიცავე,
ის გზა-კვალს გადამცდარია.

ღლე მოფენილი მზის სხივით
უსწავლელისთვის ბნელია;
სწავლულისათვის ადვილი
იმისთვის ძნელზე ძნელია.

გზა ეკლიანი უვალი
სწავლულსა გაუკაფია,
უსწავლელისთვის ძვირფასი
იმისთვის იაფზე იაფია.

სწავლული მამულისათვის,
ციხეა, — შეურყეველი,
მის წინ ქედს მოხრის მამაცი,
ბასრის მახვილის მქნეველი;

სწავლული ნაყოფიერის
ნიადაგისა მხენელია;
შიგ მანებელის მცენარის
ძირითურთ აღმომფხვრელია,

სწავლული სამშობლოსათვის
 სიმაგრე საძირკველია,
 იმისი განშევენებისა
 და წარმატების მცდელია.


სწავლული არის იმედი
 მოძმისა დაჩაგრულისა
 სწავლული არის მკურნალი,
 მალამო ყოვლის წყლულისა.

სწავლა განძია უფასო,
 სიერცითაც გაუზომელი,
 რეკვენისათვის უცნობი
 და აზრით მიუწლომელი.

სხვა ნიეთიერი დიდება
 იმას არ შეეწონება,
 თუ მასპინძლად ყავს ჰურადი
 ძიმღები ჭკუა გონება.

თუ გინდა იცნო ამ ქვეყნად
 კაცის ვალი და ტვირთია,—
 ისწავლე, შეილო, ნუ გაგზრის
 ცხოვრების სწავლა ზვირთია.

რუს-იმერელი.



საქართველოს
ენობის

7


დაუფასებელი ფრინველი



ოცა სასლში მძიმე ავადმყოფია, მთელი დამე ანთია სანთელი, კვარნი, ან ჭრანქი. სინათლე ფანჯრიდგან, ან სანათურიდგან გარეთ გამოდის. ამ სინათლესედ გროვდება მრავალი ჰეპელა, დიდრონი და ჰატარბ ბუსები, კიდევ სხვა ფრთიანი მწერები და ფუსფუსი გააქვთ სინათლეში. ავადმყოფს მათიბსუილი და შრიალი არ ესიამოვნება; მაგრამ ერთი სულიერი კი აღტაცებაში მოჭყავს. ეს სულიერი არის ჭოტი.

მთელი დღე ჭოტს ეძინა, ან სთვლებდა კომპის ნახარში, ან ხის ფუღუროში და მსოლოდ საღამოსედ გამოიღვიძა, როცა სხვა ფრინველები მიეცნენ ტკბილს ძილსა. საშინელი სიმძილი აწუსებს, რადგანაც მთელი დღე ნაფრი არ უნახავს. რად ეძინა მთელი დღე და რატომ სხვა ფრინველაფით არ დანადირობდა? იმიტომ, რომ ჭოტის ბდღვრიალა და გადმოკარკელულს თვალებს აბრმავეებს მხის შუქი და დღისით ხეირიანად ვერასა შეღავს. დაბით კი თვალის ბაიები ისე უგანვირდება, რომ ერთი





ვარსკვლავის სინათლედ საკმარისია მისთვის, რომ ვეკლავური კარგად გააჩნოს. ამის გამო ჭოტისთვის დღე ღამეა და ღამე დღე.


მშიერი ჭოტი ამომკვრამ ძველის კოშკის ჯურღმულოდგან, დაჯდა კედლის წვეროკინახედ და სოფელი დათვალიერებდა თავისი აბრიალებული და გაუძაძარი თვალებითა. ერთს სასლთან დაინახა სინათლე, რომელიც ფანჯრიდან გამოდიოდა. ამ სინათლეში გააჩნია ურიცხვი ჰეპელა და ბუხი და სისარულით ცას დაეწია. იმ წამსვე დაიძრა ადგილიდან, თავისი ღონიერი ფრთები ერთმანეთს შემოჭკვრა და ისარივით გაექანა მწერებისაკენ. მიფრინავდა ისე ჩუმად, რომ მწერებმა ვერაფერი შეიტყვეს, მანამ მათში ჭოტი არ გაერია. გაუქროლა, სტაცა ნისკარტი ერთს დიდს ჰეპელასა და მამინვე გადაელაპა. მერმე მეორე მხრიდან გამოუქროლა, ახლა ვეებერთელა ბუხი იგდო ჰირში და თავის ჩინჩახში გაკსავა. ხელახლად მოტრიალდა და ერთს სხვა ჰეპელასაც ეს დღე დააყენა. ამ სახით ინადირა მთელი ღამეები და თანაც სძირად თავისს სიამოვნებას აცხადებდა თავისი ცუდი სმითა, რომელიც ავადმყოფის და მისს მოძულელის უურს ძლიერ ეჩოთიერებოდა. კარდაცვალა ავად მყოფი, გაქრა ღამით სამთელი, მწერების ჭაჭანებაც აღარ იყო და ჭოტმაც დასტოვა ეს ადგილი. დასახლისმა იფიქრა: ჭოტი არსად იყო, ვიდრე ჩემი ავადმყოფი უკედ იმყოფებოდა; გაჩნდა საიღვანაც ჭოტი და იგი შეიქნა სულთმობრძავი; თავისი ბაიუში სმით იძახა იქამდინ, ვიდრე სიკვდილმა ხელიდან არ გამოძაცალა. მამიკვდა ჰატრონი და ჭოტის ჭაჭანება

და ხმა შესწოდა. ეტეობა, ეს სამაგელი ფრინველი უბედურების წინამორბედი ყოფილა. წყეული და შეჩვენებული იყოს ბორბოტი ჭოტი.

ეს მოვლენა შეამჩნია ბევრმა სხვა მამაკუდავის ჰატრონმა და ეველა იმ აზრსე დადგა, რომ ჭოტი მომასწავებელია უბედურობისა, ბორბოტიან, მანე და ღირსი დევნისა და სიკვდილისა. ის კი არავის მოუვიდა ჭკუაში, რომ ჭოტს არაფერი გაეგება არც სასლისა, არც მღვმურებისა და არც ავადმყოფებისა. ის სულ სხვა წადილით მოდიოდა სინათლიან სასლებთანა და რას მოიფიქრებდა, თუ ბორბოტის წინასწარმეტყველის ნიჭს დაუსაკუთრებდნენ.

ამ სახით გაუტედა სასელი ჭოტსა. ეველას იგი სმულდა, ეველა მას სწეველიდა, თავის მტრად მიანდა და თუ სადმე მოასწრებდა, დიდი სიამოვნებით ჰკლავდა. ასე იყო უწინ, ასე არის ესლაც. დიდიც და ჰატარაც, ქალიც და კაციც, ერიც და მღვდელიც ჭოტს მანებელს ფრინველად რაცხს და სცდილობს სამაგიერო გადაუხადოს.

კარნა წარმოიდგინე, ჩემო ემაწვილო მკითხველო, რომ თუ ჭოტს შესძლებოდა სამართალში ჩივილი, მთელს კაცობრიობას უსამართლობას, უვიცობას დაუბტკიცებდა, შეარცხვენდა და თავის წინაშე დამნაშავედ გამოიყვანდა. მას შეეძლო მოწმად წარედგინა სამართლის წინაშე ახლანდელი საუკეთესო ბუნების მეცნიერნი, რომელნიც აღიარებდნენ, რომ ჭოტი დიდი მოკეთა ადამიანისა, ფრიად სასარგებლო ფრინველი და არამც თუ უბედურობის მომასწავებელი არ არის, არამედ ნამდვილს ბედნიერებას შეადგენს ყოველი ადგილისთვის, სადაც კი იგი დაბინავდება.




მას, სხვათა შორის, შეეძლო განამართლების ქამს წაეკითხ-
 ნა შეძღვევი სიტყვები კარლუ ფოსტისა, რომელიც ერთი
 უპირველესი მეცნიერია ბუნების მეტეველთა შორის: «ჭოტები
 სწორეთ რომ ეველა ფრინველებსედ სანარებლონი არიან
 და ბედნიერობა მიაქეთ ეველგან, სადაც კი ისინი დაიბუ-
 დებენ. ივინი ღირსნი არიან გამოხარწლებისა, ძუარვე-
 ლობისა და უნდა ეველა იმას ცდილობდეს, რომ ჭოტებმა
 ბუდეები იკეთონ სოფლებისა და სადგურების ახლოსა».

რწ საკვირველია, იკითხავთ: რითი, რწ სიკეთით დაიძ-
 სანურწა ჭოტმა ამისთანა სანარბიელო სანელი თანამედ-
 რყო მეცნიერთა შორის?

აღამიანის მოსავალსა და დოვლათსა ჭყავს ერთი
 დაუდერავი, შეუჯერებელი, დიდდ მანარალებელი მტერი,
 ამ მტერსა ჭყვიან თავი. თავისი ზატარა ბასრი კბილებით
 თავი ფესვებს უფუჭებს ზურსა. სიძინდსა, ქერსა, შერია-
 სსა, ღომსა და სხვა ჭინასულსა, ანრამუნებს ეოველგვარს
 მარცვალსა, სათესად დაბნეულსა, ან თავთავსედ მობბულსა,
 სჭრის ტანისამოსსა, წაბილწავს სანმელსა, ეტანება ეო-
 ველგვარს საჭმელსა, და სხვანი. ერთი სიტყვით ეოველი
 თავისი მოქმედებით აღამიანს რწსმე ავნებს. თვითონ აღა-
 მიანს თავის სოცვა არ შეუძლიან: თავი ძლიერ მარდია,
 მიწაში ცხოვრობს, სწრაფად მრავლდება და აღამიანი
 ბევრს ვერას აკლებს. ამ ზაწია ნადირთან სანბრმოლველად დი-
 დი ხანია აღამიანს გაუძინაურებია კატა. მაგრამ კატა ებრძვის
 თავსა მხოლოდ სადგურებში. ბოსტანსა, ვენასსა და მინ-
 დერის ნახნავ-ნათესსა კატა ზატრონობას ვერ გაუწევს. აქ
 თავი საძინლად გამრავლდებოდა და დიდ ზარალს მის-

ცემდა ეოველგვარ მოსავალსა, რომ მას არ გასჩნოდა ფრთიანი კატა. ეს ფრთიანი კატა არის ჭოტი. ეს უცნაური ფრინველი დაუფასებელი ძველესა ჭინასულისა ღამით, როცა ადამიანს სძინავს და თავისი ნახსავნათესი ღვთის აძარას აქვს დატოვებული. იგი დაუღალავად სდევნის თავებსა და ჟლეტავს. ამ ზატარა სრამუნა ნადირის ჭერაში ასე გაოსტატებულია, რომ კაცი სწორედ გაძტერდება. ჭოტს ძლიერ შველის ის გარემოება, რომ ღამით დანადირობს. თავები ღღისით სოროებში არიან მიძალუღნი, ღამით კი არავისი ეშინიანთ და ზევით ამოდიან. ღამით თავები ცუდათ ხედვენ, ჭოტს კი ღამით ისე უჭრის თვალი, როგორც ადამიანს ღღისით. მუტადრე მუსრს ავლენ თავებს ჭოტები ბარტყების გამოზდის დროსა. მთელი ღამე დაუღალავად მოაქვს ბუდეში დედალ-მამალს თავები და აჭმევს ბარტყებსა. ერთმა მეწნიერმა, სასულად ჩუდამ, მიაგნო ჭოტების ბუდესა და ერთს საღამოს ამ ბუდის ახლო მიძალა სათვალთვალეებლად. და რა აღმოჩნდა? ერთის საღამოს განძავლობაში დასთვალა თერთმეტი თავი, მოტანილი ჭოტებისაგან,

კერძანაში სოფლის მხენელ-მთესველთა და მამულის ზატრონთა დაქირავებული ჰყავთ ერთგვარი ძველესი, რომელნიც ვალდებულნი არიან იჭირონ და ქლიტონ ვით თავები და თავები და ამითი მოსავალს ხელი შეუწონ. ამ სამსახურისთვის მათ კარგი ჯამაკირები ეძლევათ. მეცნიერთა გამოკვლევით, მთელი ეს გროვა ძველესი ორის წლის განძავლობაში ვერ დაიჭერენ იმდენს თავებსა, რამდენსაც ქლეტენ ეოველს თვეში კერძანის ჭოტები. და



გერმანელი კლესი უფროთ, ჩათლასს ძეველეებს კარგს ჯამაგირს აძლევს, ხოლო ფრთიანსა, ძარღსა და უფრო სსსარგებლო ძეველეებს კი სდევნის და სოცავს. მეტი სიბრძავე და უსამართლოება იქნება?

ერთი სიტყვით, ყოველი ჭოტი ხსნიათით და ნადირობით ნამდვილი ძფრინავი კატაა და რა სიკეთესაც კატა სსსლში გვაძლევს, ერთი ორად მეტს სიკეთესა სძლენის ჭოტი ვენახსა ნახნავ-დასათესსა. მხოლოდ ოთხფენი კატა შენახვასა და ხარჯს თხოულობს, სძირად სსჭმელს უჭამს ჰატრონსა, ჭურჭელსაც უძტვრევს, ფრთიანი ორფენა კატა კი უხარჯოთ, უფასოდ ეძსახურება, იოტის ოდენა ზარალს არ აძლევს და მხოლოდ ევედრება: სიკეთისთვის ბოროტს ნუ მიძვრებით, მეკობრობისთვის ძტრობასაო. ძაგრამ უვიცს ადამიანს ეს თხოვნა არ ესძის და სხადის სსარაკო უსამართლობასა.

ხოლო ჭოტი ჩვენ გვიწევს ძეორე დიდს სსძსახურსაც, რომელიც კატას სრულიად არ შეუძლიან. თაგვის გარდა ყოველ გვარს მოსავალს ჭყავს ერთი კიდევ სსძინელი ძტერი, თაგვსედ ბერით უარესი. ეს ძტერი არის სსვადასსვა ჭია-ძატლი. ჭია-ძატლები უხდენენ ძცენარეებს ფესვებსა, ელორტებსა, ფოთლებსა, კოკორსა, ეკავილსა და ნყოფსა და ძლიერ აძტირებენ მოსავალს ბოსტინისს, ვენახისს, ნახნავ-ნათესისს. ამ ძტერს ადამიანისს ძუდამ ებრძვის ძუქთი ჯარი ფრინველებისს. ხოლო ფრინველთა შორის სსუკეთესო ძეომარი არის ჭოტი. ჭოტი ჭია-ძატლებს ძაძინაც კი სდევნის და ქლეტს, როდესაც თაგვებით ძაძარია, რადგანაც ეს ძწერები ძისთვის ჰირის

გასატკბანურებელნი არიან, გარნა როცა თავი სანჭქელად აკლია, მაშინ მწერებს სულ მუსრს ავლებს. მეტადრე ბევრს ჭია-მატლს ამორებენ მცენარეებს ჭოტები მაშინ, როდესაც ბარტყები ახალი გამოჩეკილი ჭყავთ. ჩვილს ჭოტებს თავის სორცის მონელება ჯერედ არ შეუძლიანთ და ამიტომ დედალ-მამალი მათ სულ მატლებით და ჭყებით ჭკვებავს. და ისიც რომელი ჭია-მატლებით? იმისთანებით, რომელნიც უფრო მავნებელნი არიან მოსავალისთვის. ჭოტებს ეს ჭია-ლუა, მავნებელი მწერები არ გამოეპარებათ, ვერ დაეძალებათ ვერც მიწასვდ, არც ბალახებში, არც ხესვდ და არც სხვა ადგილს. სხვა ფრინველები სდევნიან ჭია-მატლებს დღისით, როდესაც მათ ჭლვიძავთ, ეველაფერსა ხედავენ და შეუძლიანთ დაეძაღონ, თავს უშველონ. ჭოტები კი უხილავი მტრები არიან, ღამით დანადირობენ, ძლიერ ჩუმი ფრენით ეპარებიან და მძინარე მატლებს უნისკარტებენ.

ამ სახით ჭოტი არის მოსისხლე მტერი და მკლუტელი ადამიანის ორის მეტად მახარალებელი მტრისა, ნამდვილს ბედნიერებას შეადგენს ეველა ადგილებისათვის, სადაც კი იგი დაიბუდებს, კარლე ფოხტისა არ იეოს; ადამიანი კი ამ თავის უძვირფასეს მეგობარს მტრობასა და დევნას არ უშლის და ცდილობს მისი სახსენებელი ამოაგდოს! აი უვიცობამ, უსწავლელობამ რა იცის.

ჭოტმა გაშინაურებაც ძლიერ ადვილად იცის და დიდს ჭკუასაც იჩენს. ძნელად გასტყვის, ან გააფუჭებს რამეს, რიგ ხედ და წესხედ ცსოვრობს და ძლიერ ავეარებს თავს თავის ზატრონს. მოძრაობა და ფრენა უცნაური აქვს, უეუარს ზრანჭვა-გრენა და ხშირად გულიანად აცინებს შინაურებს. ცუდ გუნებასეა,

როცა სახლი მხით არის გაჩაღებული და ამ დროს მო-
ბუხუელი წის სადმე ბნელს კუთხეში. კარგს ქეიფსედ და-
დგება სოღმე, როცა ღრუბლიანი დღეა, ან ფარდებით
არის დაჩრდილული ოთახი. მეკობრობა გულითად იცის.
ერთმა გაშინაურებულმა ჭოტმა ისე შეიყვარა კატის კნუ-
ტი, რომ აღარ შორდებოდა და კალთაშიაც მუდამ მას-
თან იწვა. თუძცა ამ ჭოტს შინ საჭმელი ბლომდა ჭქონ-
და, მაგრამ ბოსტანსა და ბაღსაში უწინდებურად დანადი-
რობდა თაგუებსა და ჭია-მატლებსედა დამ-დამობით...
გაშინაურებული ჭოტი მოგაკონებთ ულამაზო მანდილო-
სანსა, რომელიც ჭკუით, კეთილი ვულით, მშვიდობიანი
ხასიათით და უწეინარობით ევკლას გულს იგებს და თავს
აუვარებს.

იაკობ სვიმონიძე.



მაიმუნების ჭკუა-გონება



უმცა იშვიათად, მაგრამ თითქმის ყველას გვინახავს მაიმუნი. ქალაქსა და დაბებში თათრებს დაჰყავთ და ტფილისშიაც ბევრ ჯელ გამართულა მხეცების საჩვენებელი სახლი, სადაც უფრო ბევრ ნაირს მაიმუნებს აჩვენებენ,

მაიმუნები განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში ცხოვრობენ და ორ დიდ ჯგუფად განიყოფებიან, პირველი ჯგუფი შესდგება აზიაში და აფრიკაში მცხოვრებ ვიწრო

ცხვირა მაიმუნებისგან, რომელნიც უფრო დიდრონი იზრდებიან და კუდიც თითქმის არა აქვსთ. ამ გვარ მაიმუნებთა შორის უფრო შესანიშნავნი არიან გორილლა და ორანლუტანგი, რომელნიც კაცის ტოლა იზრდებიან და ყველა მაიმუნებზე უფრო ძლიერ მიემსგავსებიან ადამიანს.—მეორე ჯგუფს შეადგენენ პრტყელ ცხვირა და კუდიანი მაიმუნები, რომელნიც ამერიკის უდაბურ ტყეებში ცხოვრობენ, ამათში უფრო ცნობილ არიან ღრიალა, კოატა, საპაჟი და მრავალთა უმრავლესი სხვა. მართლაც და ბუნებაში არც ერთი ცხოველთა ჯგუფი არ წარმოგვიდგენს იმდენ სხვა-და-სხვა ჯიშის, სხვა-და-სხვა ნაირ სახის და მოყვანილობის ცხოველთ, როგორც მაიმუნების ჯგუფი! სიდიდითაც ამდენ მაიმუნებში ზოგი ადამიანის ტოლა იზდება და ზოგი-კი ციყვის ოდენიც არ არის.

მაიმუნების საჭმელი უფრო მცენარეულობათაგან შესდგება. ყოველ გვარი ხეხილის ნაყოფი, ბალახეულთა თესლი, ძირკვები და ბოლქვები, აგრეთვე ხის კოკრები, ნედლი ფოთლები და ყლორტები, ყველა ესენი ჩვეულებრივი საკვებია მაიმუნებისა. მაგრამ მაიმუნები არც ბუზებს და სხვა მათ გვარ მწერებს აიცდენენ ზოლმე



ცხვირ ზევით. და როცა კი ფრინველების კვერცხებს, ან ბარტყებს იპოვნებ, დიდი სიამოვნებით ჩაიკოკლოწინებენ ხოლმე ყელს.

ისიც ყველამ ვიცით და გავგიგონია, რომ არც ერთი ცხოველი ისე ძლიერ არ მიემსგავსება ადამიანს, როგორც მაიმუნი. გორილლას ტანის მოყვანილობა, მისი უბანლო სახე და მრგვალ თავზე მოსხმული ტიტველი, უძრავი ყურები ძლიერ მიემსგავსებიან ადამიანისას. წინა ფეხები მაიმუნებს ჩვენ ხელებს მიუგავს და თითებზედაც ადამიანივით პრეტყელი ფრჩხილები ასხიათ. მეტადრე როცა გორილლა უკანა ფეხებზედ დადგება ხოლმე და ადამიანივით გაიღის, მაშინ უფრო გვაგონებს ჩვენ თავს. მაგრამ მეცნიერების გამოკვლევით მაიმუნი ტანის აგებულობით უფრო ძლიერ მიემსგავსება ადამიანს, მაგალითად თავის ქალას მოყვანილობა, კუნთების მოწყობილება, აგრეთვე შიგნეულობა და მეტადრე ტვინის მომარლოება და გრძნობის იარაღნი, მაიმუნებსაც თითქმის ისეთივე აქვს როგორც ადამიანებს.

უფრო კი ყველას უკვირს და გაჰკვირვებია მაიმუნების ზნეობრივი მხარე. მართალია მაიმუნებმაც იციან სიანჩხლე, გაიძვერობა, შურისძიება, ამაყობა, ქურდობა, დაუნდობლობა და სხვ... მაგრამ ამდენ ბიწიერებასთან ბევრი კარგაცა სჭირთ. მეცნიერებს დიდი ყურადღებით აქვს შესწავლული მაიმუნების ჭკუა, მოსაზრება, მაძი სიმზარათლო, გულის სიმშვიდე, ალერსიანობა, მინდობა, სიმამაცე, საზოგადოების სიყვარული, მეგობრისათვის თავის გაწირვა და ყველასთვის ზრუნვა. მეტადრე შეილების და ოჯახის სიყვარულში ზნეობრივ ძრიელ მაღლა დგანან მაიმუნები; ამასთანავე არამცთუ მარტო თავის შეილებისთვის შესტკივით გული, ყველა დავრდომილთათვის ისინი თავგამოდებით ზრუნავენ, თუნდ მაიმუნიც არ იყოს. ერთი სიტყვით როგორც გარეგან შენეულობით და ტანის აგებულობით, ისე სულიერი თვისებითაც მაიმუნები ბევრად მიემსგავსებიან ადამიანს.

მეტადრე ჭკუა-გონებით ძრიელ გახსნილნი არიან ესრედ წოდებულნი ადამიანის მზგავსნი მაიმუნები. საშინელი გორილლა ბრძოლის დროს, გაანჩხლებული ესერის ხოლმე მტერს რაც კი ხელში მოხვდება. ზოგჯერაც რამდენიმე გორილლა კეტებით შეიარაღებულნი ისეთი საშინელი ძალით დაუშენენ ხოლმე მტერს, რომ სპილოც კი ზარდაცემული გაურბით. სწავლული ხალხი იმასაც კი



და ბუხრებს დახურვა. ამასთანავე მატროსობასაც ასრულებდა—
 თოკებს ახვევდა, ალაგებდა. მატროსები (გემებზე მოსამსახურე სალდა-
 თები) ამ მაიმუნს თავის თანაშემწეს უძახდნენ და ძრიელ ალერ-
 სიანადაც ექცეოდნენ. სამწუხაროდ იმავე გემზე ერთი უფროსი საში-
 ნელი მხეცი კაცი იყო და ერთხელ სულ უბრალოდ, უმიზეზოდ მიად-
 გა კეტით მაიმუნს და სულ თავ-პირი დაამტერია. ბევრ ნაირად,
 ხელების გაშეერთა ანიშნა და ეხვეწა, ემუდარა საწყალი მაიმუნი,
 მაგრამ გააფთრებულმა კაცმა უარესი უყა. მაიმუნმა თუმცა მოთ-
 მინებით აიტანა ამ გვარი შეურაცყობა, მაგრამ თავმოყვარეობით
 ახლო აღარ მიეკარა არც საქმელს და არც სასმელს, მეხუთე დღეს
 შიმპანზე სიმშლიისგან მოკვდა და იმოდენა ხალხს ყველას ისე ძრიელ
 დანაზღაურებდა, გვეგონებოდათ მეგობარი ვინმე დაჰკარგესო.

გამოჩენილი მეცნიერი ბიუფონი შიმპანზეს ინახავდა სახლში.
 ეს მაიმუნი თურმე ადამიანივით სწორეთ დადიოდა და ძალიან და-
 რბაისლურადაც ეჭირა თავი კაცებს ხელს ჩამოართმევდა ხოლმე, მათ-
 თან ოთახში დასეირნობდა და კაცებიც კანფეტებით ასაჩუქრებდნენ.
 სასადილოთ სტუმრებთან ერთად მაიმუნიც სტოლს მოუჯდებოდა
 და სალფეტკის ხმარებაც კი იცოდა; ღვინოს თითონ დაისხამდა
 ხოლმე სტაქანში და ესეც თავის სტაქანს სტუმრებთან აჯახუნებდა.
 როდესაც ბიუფონი ჩაის სმას დაიწყებდა, მაშინ ჩვენი შიმპანზეც
 მოიტანდა თავის ფინჯანს და ლამბაქს, შაქარს ფინჯანში ჩააწყობ-
 და, დაისხამდა ხოლმე ჩაის და როცა განელდებოდა არხენად მიი-
 რთმევდა. თავის პატრონის სიტყვებს ძრიელ ადვილად მიხედებოდა
 ხოლმე. სამწუხაროდ ბიუფონს ეს მაიმუნი ერთს წელს შემდეგ
 ჭლებილ მოუკვდა.

ერთმა ინგლისელმა ბ. ბროსმა ცხელი ქვეყნებიდან ევროპა-
 ში მოიყვანა დედალ-მამალი შიმპანზე, რომელთაც ადამიანივით
 იცოდნენ სასადილოთ სტოლთან დაჯდომა და დანაჩანგლის ხმარე-
 ბა. ღვინოს და არაყს დიდის სიამოვნებით სვამდნენ, როცა ზღვაში
 გემით დასეირნობდნენ. მოსამსახურე ბიჭი რომ დასჭირდებოდათ,
 უძახდნენ და ვაი იმის ბრალი თუ არ გაუგონებდა—გაჯაერებული
 ცოლ-ქმარი მივარდებოდნენ ხოლმე ბიჭს, წააქცევდნენ და კბენდნენ.
 ერთხელ შიმპანზე ავად გახდა და გემის დოქტორმა მკლავიდან სი-
 სისხლი გამოუშვა. მას აქედ ჩვენი შიმპანზე ცოტათი შეუძლოდ გახ-
 დებოდა თუ არა, მაშინათვე დოქტორს ხელს გაუშვერდა.


ლაქტორ ტრაილის შიმპანზე სარკეში ჩაახედეს. მაიმუნს საშინელი ცნობის მოყვარეობა აღეძრა, გაკვირებული შინჯავდა მისთვის უცხო საგანს, ხან სარკეში იყურებოდა და ხან სარკის მომტან კაცს ისეთი სახით შეხედამდა თითქოს ეკითხება რასმეო. მაიმუნი სარკეში ყურებით რომ ვერას გახდა, ახლა პირი უბრუნა და ზურგზე დაჰხედა. მერე სარკეს ხელი დაადო, ეგონა მაიმუნს ხელით დაეჭერო. ერთის სიტყვით ისე იქცეოდა, როგორც ველური კაცი, რომელსაც თავის დღეში სარკე არ უნახავს.

ოჯახობით და მთელი საზოგადოებით ცხოვრება შიმპანზე მაიმუნებს ძრიელ უყვართ და თავიანთ საზოგადოების უფროს წინამძღოლს ანუ მამასახლისს ისე ემორჩილებიან, ვით ყურმოჭრილი ყმები. ვინმე მონადირემ ამ სამამასახლისოში მაიმუნი რომ მოკლას, მაშინათვე მთელი მაიმუნების ხროვა დაეცემიან მტერს და სამაგიეროს გადაუხდიან. შიმპანზე ცოლ-შვილისაც დიდი მოსიყვარულეა. ტყუილად კი არ ამბობენ აფრიკელი ზანგები, რომ შიმპანზეები წინათ ჩეენი მონათესავე ადამიანები ყოფილანო და ცუდი ქცევის გამო, ხალხის საზოგადოებიდან გამოურიცხავთო. თუმცა ამ აზრისა ბძანდებიან, მაგრამ იგივე ზანგები მოკლულ მაიმუნის ხორცს სიამოვნებით მიირთმევენ.

თუ შიმპანზეები აფრიკაში არიან სახელოვანნი, აზიაში კიდევ ორანლუტანგები ითვლებიან ჭკუა-გონებიანი.—იავას კუნძულის ხალხი იმ აზრისა არის, ჩვენ ორანლუტანგებს რომ უნდოდეთო ლაპარაკიც შეუძლიანთო, მაგრამ განგებ არ ლაპარაკობენ, ემინათ, ვაი თუ კაცებმა გვამუშაეონო.

ბ-ნ ბონციუსი, გამოჩენილი ექიმი და ბუნების მკვლეველი მეჩვიდმეტე საუკ., გვარწმუნებს, რომ ერთი დედალი ორანლუტანგი ენახეო, რომელსაც ენის მეტყველება აღეძრა, რომ ნამდვილი ადამიანი გამხდარიყო. ეს დედალი მაიმუნი უცნობ კაცის დანახეაზე ძრიელ მორცხობდაო და თუ მორიდებას ვეღარ მოახერხებდა, მაშინათვე გაწითლდებოდა და პირზედ ხელებს აიფარებდა ხოლმეო. ზოგჯერ ისეთნაირად ამოიოხრებდა, დაიკვნესებდა და ისეთი ქვით-ქვითით ტირილს მოჰყვებოდა ხოლმეო, რომ ნამდვილს ადამიანს მოგაგონებდათო.

ერთს ორანლუტანგს გენიოსი კიუეიე ინახედა სახლში. ხშირად მომხდარა, რომ ორანლუტანგი შიგნიდან დაკეტილ ოთახში მოჰყეე-



ბოდა. ამ შემთხვევებში მაიმუნი მიიღვამდა ხოლმე სკამს, ავიდოდა ზედ და ისე ადამიანებით აღებდა ურდულით ან ჩანგლით დაკეტილ კარს. ამავე მაიმუნს ძრიელ უყვარდა კატის კნუტები. სათითაოდ ხან ილლიის ქვეშ შეისვამდა კნუტი და ხან თავზე დაისვამდა. კატის კნუტი კლანჭებით თავში და თმებზედ ეკოწიაწებოდა. ამ გარემოებამ ძრიელ შეაფიქრა ჰკვიანი მაიმუნი. რამდენჯერმე თავის საყვარელ კატის კნუტებს ყველას თათები დაშინჯა და თითებით ცდილობდა ამოეკლიჯა მათთვის **ბჭყალები**. მაგრამ რომ ვერას გახდა, მაშინ ისევ ტკივილი ირჩია და კნუტები კი თავიდან არ მოიშორა.


ღარვინის სიტყვით ერთ ორანღუტანგსაც ძრიელ უყვარდა მასხარობა. თუნუქის ჯამს, რომელშიაც საქმელს აქმევედენ, რალაც უცნაური მოყვანილობა ჰქონდა. მაიმუნმა ეს შეამცნია და მას აქეთ ამოსვლევავდა თუ არა თავის კერძს, აიღებდა თუნუქის ჯამს, დაიხურავდა თავზე და იმის ლაზღანდარობას საზღვარი აღარ ჰქონდა. ღიმილით და ღრეჭით ყველას გაუთამაშებდა. ხალხი რასაკვირველია **სიციფსისგან** მუცელს ველარ იჭერდა და ამით ორანღუტანგიც დიდი კმაყოფილი იყო, რადგან მისი მასხარობით ყველანი სიცილით იხოცებოდნენ. ერთ ჰოლანდელის ეოსმერნის მაიმუნი ეშმაკობით უფრო საესე იყო. ამ მაიმუნმა ერთხელ ერთი ბოთლი დაბეჭდილი ღვინო-მალაგა მოიპარა; ბოთლს თავი მოხსნა, პრობკა ამოაცალა, ღვინო თითონ გადაჰკრა და ცარიელი ბოთლი კი მაღულად ისევ თავისევე ალაგას დადგა. ჯიბგრობაში ხომ კაციც ვერ აჯობებდა—ისე ამოაცილიდა ჯიბიდან კანფეტებს, ან სხვა რამ ტკბილეულობას, რომ კაცი აზრსაც ვერ აიღებდა. როცა ეს მაიმუნი დასაძინებლად მოემზადებოდა, მაშინათვე ლოგინს გაისწორებდა, გაბერთყდა, მერე ერთ დიდ კონას თივისას თავქვეშ დაიდებდა, საბანს წაიხურავდა და ტკბილად დაიძინებდა ხოლმე. ერთხელ ეოსმერნიმ მაიმუნის ჯაჭვის კლიტე გააღო და შემდეგ დაკეტა კიდეც. მაიმუნმა ეს შეამცნია თუ ირა, მაშინვე ერთი ჩხირი იპოვა და კლიტეს ცოდვილი დაუწყო. მაგრამ ჩენი მაიმუნი უფრო დახელოვნებული იყო ნასკეების გამოხსნაში—რა ნაირათაც გინდოდათ დაგებლართად და გაგენასკვად თოკი, ის მაინც თქვენზე ადვილად გახსნიდა.

ჯეფროსის მოგვითხრობს, ერთი ორანღუტანი ენახეო, რომელიც საშინელი ფაქიზობის მოყვარული იყოეო. თავის გაღიას ძლიერ სუ-

ფთად ინახავდა, ყოველ ცისმარე დღე ჰგვიდა და იატაკსაც სველი ჩერითა სწმენდა. დილ-დილობითაც ისე იბანდა პირს, როგორც ადამიანიო.

თუმცა ამდენი აღწერაც საკმარისია, იმის დასამტკიცებლად, რომ ორანგუტანგები და შიმპანზეები მართლაც და ყველა მაიმუნებზე უფრო ჭკუა-გახსნილები არიან, მაგრამ არ შეიძლება კაპიტანის სმიტის ბობი არ გავაცნოთ.

შესანიშნავი ორანგუტანგ ბობის ამბები ბრემს დაწვრილებით აქვს აღწერილი და მე მოკლედ აღმოვწერ. ბობი საშინელი მსუნავი და ღორმუცელა მაიმუნი იყო და ამიტომ ხშირად ქურდობდა კიდევ. მზარეულს გაიგულვდა თუ არა, მაშინვე ფქვილის გოდორს ეცემოდა, რამდენსამე მუჭა ფქვილს პირში იკრავდა, ფქვილიან ხელებსაც თმაზედ გაიწმენდა და მერე ისე გაიპარებოდა მითომ აქ არაფერი ამბავიაო. მატროსებს სამშაბათ პარასკეობით საგო ეძლეოდათ შაქრით და ღარიბინით შეზავებული. ჩვენი ბობი, აბა დიდი მოყვარულია ტკბილეულობისა, არც ერთს სამშაბათ-პარასკევს არ გადაადგენდა—სწორეთ დილის რვა საათზე მიბძანდებოდა მატროსებთან და თავის ლაქუცით ყველას ტკბილ საჭმელს გამოცინცლამდა. ბობი სტუმრებთან ერთად სადილათაც წამოსკუბდებოდა ზოლმე და ისე ზდილობიანათ ეჭირა თავი, რომ ზოგს კაცსაც კი შეშურდებოდა. მაიმუნებს ხო ძლიერ უყვართ ჭურჭლის მტვრევა, მაგრამ ჩვენი ბობი ჭურჭელსაც უფრთხილდებოდა და საჭმელსაც ძრიელ ფაქიზად სჭამდა. ერთი ცუდი ის სჭირდა ამ მაიმუნს, რომ სასმელობას ძლიერ ეტანებოდა და ბოლოს ამ სინსილაზობას თან გადაჰყვა კიდევ. ერთხელ, ვანშამს უკან, როცა გემზე ფეხი მისწყდა, ბობს ძილი არ მოსდიოდა, ლოგინიდან თავი ამოყო და რალაც ეშმაკად აკი შენიშნა, რომ სუფრის ალაგების დროს მოსამსახურეს რამდენიმე ბოთლი რომი სტოლზე დაეიწყებოდა. ჩვენი ბობი, აბა, რალას მოისვენებდა. ყველას მისძინებოდა, პატრონმაც ხერინვა ამოუშვა. ბობი ფენ-აკრეფით მივიდა სტოლთან, რომის ბოთლები ჩაღის ბუდეებიდან ამოალაგა, ერთს თავი მოხადა, პრობკა ამოიღო და მთელი ბოთლი რომი ერთბაშად დალია. ამ ფაჩიფუჩზე პატრონმაც გამოიღვიძა და ჭრაქის სინათლეზე დაინახა რომ მისი მაიმუნი სუფრაზედ ნამცეცაობდა. მაიმუნს რომი ისე საშინლად მოეკიდა, რომ ათ წამს არცკი გაუელთა, ბობიმ დაიწყო ცელქობა,



სკამებზედ და სტოლებზედ ხტუნვა, ჯერ მითომ როგორც მთვრალმა კაცმა, მაგრამ მერე კი თვალები აერია, გაგიჟდა და საშინელის ძალით იქაურობას ამტვრევდა. ხალხი მოცუინდა, მაგრამ ვერაფერი ღონით ვერ დაამშვიდეს გააფთრებული მაიმუნი. ბოლოს თითონვე უგონოდ დაეცა იატაკზე, პირიდგან დორბლები გადმოუვიდა და აღამიანივით გაჭიმული უძრავად იყო. თუმცა რამდენიმე საათის უკან მაიმუნი გაძოფნიხლდა და გონს მოვიდა კიდევ, მაგრამ მაშინვე სახადი (საოფლე) ზედ დაატყდა, ორ კვირას იავადმყოფა და მოკვდა კიდევ. — ავადმყოფობის დროს საწყალი მაიმუნი მხოლოდ წყალ-ღვინოს და წამალს სვამდა. ერთხელ ექიმმა მაჯა გაუშინჯა და მას აქეთ რამდენჯერაც პატრონი მიუხახლოვდებოდა, ჭკვიანი ცხოველი ხელს გაუწვდიდა, მითომ მაჯა გამიშინჯეო და ამასთანავე ისეთი ტანჯული სახით შეხედავდა ხოლმე პატრონს, რომ კაცი ცრემლებს ველარ იმაგრებდა.

შიშანხეები და ორანგუტანგები თუმცა ჭკუით ყველა მაიმუნებზე მაღლა დგანან, მაგრამ არც გიბონების ჯიშის მაიმუნები არიან ჭკუა-გონებით ნაკლებ გახსნილი. სწავლულებს, ვისაც თვალ-ყური უდევნებია ამ მაიმუნებისთვის, ბევრი მოთხრობები აქეთ დაწერილი, საიდანაც სჩანს გიბონების ანუ მხარგრძელ მაიმუნების ჭკუა, მოსაზრება, მათი მხიარული ხასიათი, სიციქვიტე და ცეცქობა.

ერთი ავტორი მოგვითხრობს: ჩემს ბაღში რამდენიმე გიბონს ვინახავდიო, რომელნიც თავისთვის თავისუფლათ ხეებზე ცხოვრებდნო და მხოლოდ საქმლისათვის ჩამოდიოდნ ძირსაო. ერთხელ ერთი ახალგაზდა გიბონი ხიდან ძირს ჩამოვარდა და მკლავი იღრძო, იმ წამსვე ყველა მაიმუნები გარს შემოეხვიენ და მწუხარის სახით ზრუნვა დაუწყეს. მეტადრე ერთი ბებერი დედალი მაიმუნი ძლიერ უფლიდა დასახიჩრებულს, თუმცა კი მისი არავითარი ნათესავი არ ყოფილა. საუცხოვო სანახავი იყო, როდესაც ეს ბებერი მაიმუნი თავის წილს ლეღეს პაწაწა ავადმყოფს მოუტანდა და ალერსიანად მოიკითხავდა ხოლმე.

დიუვოსელს რამდენჯერმე უნახავს, როცა გიბონები თავის ბავშვებს აბანავებდნ. დედები შეუშვერენ ხოლმე წყალს თავის შვილებს და თუმცა ძლიერ სასრლოდ ყვირიან პატარები, მაგრამ მანამდის თავს და ტანს არ დაჰბანს, დედა ხელიდგან არ გაუშვებს ხოლმე.



ბენეტი მოგვითხრობს, მე ეიცოდით ერთი გიბონი (მხარგძელი), რომელიც ერთს პაპიუსის ახალგაზდა ქალს გაუარშიყდაო. მაიმუნი თავის მეგობარ ქალს ყელზე ხელს გადახვევდა ხოლმე და გემის პირზე სადმე წამოსხდებოდნენ ხოლმე და კამფეტებს შეეჭკოდნენ. დანარჩენ მაიმუნებს არ უყვარდათ ეს მოარშიყე, მაგრამ ქალის მეგობარი გიბონი აქაც ყოჩაღათ იქცეოდა—რომელიმე ურჩს მაიმუნს წააფლებდა ხოლმე კულზე ხელს და მთელ გემს შამოარბენინებდა.

ინდოეთის წყლებში, სადაც კი ხვითქი ანუ ნიანგი (კროკოდილო) ცხოვრობს, იმ არე-მარეში მისი შიშით ვერა ცხოველს ვერ გაუფლია. მაგრამ ჩვენი გიბონები აქამდე თამამნი და მოუსვენარნი არიან, რომ ამ საშინელ გველეშაპსაც კი ძალღად არ აგდებენ. აგერ დააცქერდით სურათს. ინდოეთის მდიდარი შვენიერი ბუნებაა წარმოდგენილი. ერთს წყლის პირას დაბურული, განუფლელი ტყეა ატეხილი; უშველებელი ხეები მაღალ გაბმულ გამობმულ არიან ათასნაირ უსურვაზით, ლიანებით და სხვა ამხვევ მცენარეებით და ბუჩქებით. წყლიდან თავი ამოუყვია საშინელ ნიანგს (გველეშაპს) და ვეებართელა ყბა გაუღია. მაგრამ ჩვენი შეუპოვარი მაიმუნები აინუშიაც არ იგდებენ. აგერ ოთხი-ხუთი ახალგაზდა მაიმუნი კუდებით და ხელებით ერთმანეთს ჯაჭვივით გადაჰბიან, ხეზე ჩამოკიდულან და ლიანის ტოტებს ეკანჭურებიან. ამათში რომელიც უფრო მარდი და გაბედულია ზედ წყალზედ არის ცალის ხელით და კუდით დაკიდული; მარცხენა ხელით კი საშინელს კროკოდილს ელაზღანდარება, მასხარად იგდებს და ლამის სილა სტკიცოს დაღრენილოს ყბაში. ზევიდან ბებერი მაიმუნი უჯაერდება, უღრენს ამ მოუსვენარ, ცელქ ბავშვებს, მაგრამ ჩვენი პატარა მაიმუნები ისეთ ნაირად გართობილან და ისეთს მხიარულებაში და აღტაცებაში არიან, რომ არცკი ესმით ბებრუტუნას ჩიფ-ჩიფი. ან კი რას დააკლებს იმათ საშინელი ხვითქი? მანამ ის ტლანქ თავს შეანძრევს, თვალის დახამხამებაზე მაიმუნები ხეს კირნწეროში მოექცევიან და ახლა იქიდან დაუწყებენ მასხარობას. ამ გვარად ერთობიან ჩვენი ცელქები და არ უსვენებენ ნიანგს, მაგრამ ხშირად ისიც მოხდება ხოლმე, რომ მეტის მეტად გათამამებული მაიმუნი ხვითქის ლუკმა ხდება.



მხიარული სამხარი

(საზობო ამბავი)

I



ოფელ კატინეთის ჰაწაწა ეკლესიაში გათავდა შობის გრძელი წირვა. ხალხი მხიარული დაეძვა თავიანთ სანალებიკენ.

— ჰა! ჰა! ჰა! რაღა ღორი დაინაცვებოდა დღეს! წამოიძახა სიცილით ერთმა ახალგაზდა ბიჭმა და გადახედა მეორეს.

— აბა!.. მიუგო ამხანაგმა.

— თქვენ რომელი ღორი დაჭკალით დღეს? ჭკითხა ჰატარა ბიჭმა ჰატარა გოგოს, რომელიც გვერდით მოჭეუებოდა.

— დიდი ჭრელი ღორი რომ გუადა, მიუგო გოგომ.

— ჩვენ ჩვენი ტახი დაუკალით, სთქვა მეორე ბიჭმა, რომელიც მოეწია მოსაუბრეთ: ორი თვეა, რაც ვასუქებთ.

— თქვენ რა დაჭკალით, თეძუ? ჭკითხა პირველმა ბიჭმა ჰაწაწა ბავშს, რომელიც ცოტა მოძორებით მოდიოდა თავაჩადუნული. მისი ჩამოკონკილი ტახისაწყელი და დაკ-

ლექსილი ქალბნები ამტკიცებდენ, რომ თებუ დარბის დედ-მამის შვილი უნდა ყოფილიყო.

— ჩვენ ჩვენი მამალი დაგვალთ, ძლივს სთქვამ თებუდ. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

— იმდენ სულს ერთი მამალი რას გიხამსთ? უთხრა მეორე ბიჭმა.

— ღორი არ გვევად... დაიწყო თებუდ.

— რატომ არ იუიღეთ მერე? განწევებინა ჰატარა გოგომ.

— რა ვიცი, ალბად ფული არ ექნება ბაბუნას, სთქვამ თებუდ.

ამ დროს სხვა ბავშვებიც მოვიდნენ და ყველამ გულ-მტკივნეულად შეჰხედეს თებუს, როცა შეიტყეს, რომ მის სახლში დღეს მხოლოდ მამალი დაუკლავსთ.

— ბიჭებო, დაიძახა ზირველმა ბიჭმა, როცა სოფელს მიუახლოვდნენ: ნასადღილევს რომ სათამაშოთ გამოვიდეთ, თითო ნაჭერი ღორის ხორცი წამოვუღოთ თებუს!

— კარგი, კარგი, დაიძახეს აქეთ-იქიდან. ჩვენ დღეს ხორცს არავინ დაგვიჭერს!

— დედამას უთხარით, რომ სამხრისთვის გვინდა-თქო, სთქვამ ისევ ზირველმა: და ჰურებიც წამოიღეთ.

— ძალიან კარგი, დაეთანხმენ ყველანი და წავი-წამოვიდნენ თავიანთ სახლებში.

II

როცა თებუ შინ მივიდა, დაინახა რომ მის სახლში არა ჩვეულებრივი მოძრაობა იყო; ყველაფერს რაღაც სადღესასწაული ფერი მიეღო; მთელი ესო თითქოს მხიარული ეგებებაო მის მოსვლას. აქამდის უურ-ჩამოყრილი მურიაც-კი კმაყოფილად წკმუტუნებდა სახლის კარებთან და აქიცილებდა კუდს.

აი, მოჰკრა თვალი თებუს მისმა ჰატარა დამ და გაუქანა მისკენ მოცინარე სახით.

— ბიძია აქა, ბიძია!.. კაქი ბიძია!.. ეუბნებოდა თემუს და და მოსდევდა უკან. თემუდ ვერასფერო ვერ გაიგო და ფეხს აუჩქარა, რომ ძაღვ შესულიყო სახლში.

ამ დროს გარეთ გამოვიდა თემუს დედა და ერთი უცნობი კაცი.

— თემუ, ბიძიას აკოცე, უთხრა ღიმილით დედამ თემუს. თემუს შერცხვა უცხო კაცის და გაჩერდა.

— მოდი, ბიძია, ჩემთან, მოდი! უთხრა უცნობმა თემუს, აიკვანა ხელში და რამოდენმეჯერ აკოცა. მერე დასვა ძირს, ამოიღო ჯიბიდან შაქარყინული და ჩაუღვა ხელში.

როცა თემუ სახლში შევიდა, კიდევ უკეთესი სასახავი ჰქანას: შუახედ გაეჩაღებინათ უშველებელი ცეცხლი, რომელსაც გარშემო მთელი ოჯახი შემოსხდომოდა, საკიდელზე ეკიდა დიდი ქვაბი, ღორის სოროცით სავსე, და ჩუხჩუხი გაჭქანდა; კედელზე ჩამოკიდებული იყო გრძლად ნახევარი ღორი; ტახტზე სხვა და სხვაფერი ფართალი ეწყო, სტოლზედ პურები!.. ერთი სიტყვით ეს ღარიბი სახლი დღეს უეცრად ავსებულიყო ყველაფრით.

— მოდი, შვილო, გათბი, უთხრა თემუს ბებიაძე. ყველანი მიიწამოიწიენ და თემუ დააჯინეს ცეცხლს ჰიწს.

— აი, შვილო, რა მოგიტანა ბიძიამ, უთხრა ამ დროს დედამ თემუს და მოუტანა წითელი ქუდი და წულები. თემუს სიხმარში ეგონა თავი, როცა ყველა ეს ჰქანას. ის ნამეტანს სინარულს თითქოს გაეღენჩებინა და ხმას ვეღარ იღებდა.

თემუ კი არა, მთელი ოჯახი სან ტიროდა და ხან იცინოდა მოულოდნელი სინარულით. თემუს ბაბუას და ბებიას ორი ვაჟი ჰყოლოდა. უფროსი თემუს ძმა იყო და კიდევ მოძვედარიყო, უძცროსი კი, ჯერ ისევ ბავში, წასულიყო სადღაც და მისი ამბავი დედამის არავის სცოდნია. დღეს დაბრუნდა სახლში თემუს ბიძა და, როცა ებოვა და ეპოვა ამ ხნის განმავლობაში, ყველაფერი მომბოვს.

III

თემუს ნასადილევს ამხანაგებთან წასვლა დაგვიანდა, რადგანაც სადილი ცოტა გვიან მოუვიდათ. ბავშვები შეკრებილიყვენ; თემუსათვის მოტანილი სორცი და ჰური ერთადგილზე დაწყოთ და თვითონ თამაში დაწყოთ.

როცა თემუ დანინახეს, ყველამ მიატოვა თამაში და მისკენ გაექანენ. თემუს ახალი წოდები ეცვა, თავზე წითელი ქუდი ესურა და ხელში თეთრ ტილოში გამოკრული რბაც ეჭირა.

— სად იყავი, თემუ, აბდენს ხანს? ჰკითხა ერთმა ბავშვმა.

— ბიძის მოვიდა და სადილი გვიან ვჭამეთ, მიუგო თემუმ.

— ბიძისა? გაიკვირვეს ბავშვებმა.

— ჰო, ბიძა მოვიდა ქალაქიდან და ყველაფერი ბევრი მოიტანა... იმ ხელს ღორი გვაქვს, იმ ხელს რომ... დაიწყო თემუმ.

— მაგ ტილოში რა გვაქვს? ჰკითხა ვიღაცამ თემუს.


— ეს თქვენ გამოგვიხაზნა ბიძიამ, სთქვა თემუმ და გაძალა შესვეული. ბავშვები შეჯგუფდნენ თემუს კარგემო და სინარულით ფეხზე აღარ იდგნენ, როცა დანინახეს იბდენი სხვა და სხვა ნაირი შაქრის ჰურები, შაქარყინული, ხმელი სილი, ტკბილეული და სხვა...

— ბიჭოს ჩვენისთანა სამხარე, მგონი, დღეს დუნისზე არაზის ექნება, სთქვა ერთმა ბიჭმა.

— აბა, ბიჭებო! ჯერ ვითამაშოთ და, როცა დავიღალეებით, აქვე ჩაუჯდეთ სამხარს, სთქვა მეორემ!

— კარგი, კარგი, მოამხან ყველამ და გაიმართა თამაში...

ერთს საათს შემდეგ ბავშვები ისხდნენ და მსიარულნი შეექცეოდნენ მოულოდნელს სამხარს. ყველასე უფრო მსიარული-კი, რასაკვირველია, თემუ იყო.



ანდასები

(წარმოდგენილი კ. გრძელისაგან)

1. სიბერის დროს ძაღლმა კურდღლაობა მოინდომა.
2. დედაკაცმა თქვა: კიბეს მივაყუდებ ცაზე და ზედ შევალო.

(წარმოდგენილი მ. ლალაშვილისაგან)

3. მეტი სიტყვა თავს აგვატკენს, მეტი ჭამა მუცელსაო.

გამოცანები

(წარმოდგენილი თ. ხუსკივაძისაგან)

ორას სამოც და ათი დღე
 ვიყავი დატყეებული;
 სატუსალოდან წამოველ,
 შევიქმენ გამგზავრებული.
 ხმა ესმათ მოსელა ჩემისა
 შეიქმნენ გახარებული.

(წარმოდგენილი ანასტ. ერისთვისაგან)

ქკვიანო, შენ მეცნიერო ეს არ მიცანა რა არსო?
 ერთი რამ მკვიდრი ქონება ორიეს სოფელსა მზა არსო,
 გაზღის და გაადიდკაცებს, წახდენაზედაც მზა არსო.
 იცოდეთ, თვალ-მარგალიტი ამ საქონელზე მზა არსო.

არმიცანა ნათქვამი ბრძენთაგან გამოსახისა,
 სახლი უდგს იგი ელვარე, შიგა ზის თქვენი სახისა,
 პირ-და-პირ შეყრა იამის და ერთმანეთის ნახვისა.



(წარმოდგენილი რუისის სკოლ. მასწ. ს. ნასყიდაშვილისაგან)

ერთსა რამ უცხო საჭკრეტსა უდიან ტურფა სულები,
ფერი მიუგავს ღალღებსა ყვითელ იაგუნდს გულგები,
ზურმუხტის ფერი ფურცელი გარსა აქეს შემოდლებული.

ხალხური ლექსები

იანვარი მოსისინებს,
ერთ რომ ენკენისთვის გველი;
ღობე, საბძელი სულ დაწვეს
ალარ შეარჩინეს წნელი.

თებერვალი რომ დადგება,
ყინვა ჩამოვარდა ძნელი.
გაიარა სულ დარობით,
ელა გაზაფხულის ფერი.
გოდრები წამოიკიდეს,
საქმელს აუხარეს ხელი.

ჩქარა გამოსათქმელი

(წარმოდგენილი გ. ფირალოვისაგან)

შენ კაპეკი, მე კაპეკი მე თუ არ მეკაპეიკება შენ რალა გეკაპეი-
კებოლა.

ზ მ ა

სამანი კარგი ბარათა შეილიშვილს გამოაწვება.

გავმართე, ვზივარ ურემზე,
ტალახი დიდი დამიხვდა.
ნიკორა ზარობს გაწევას,
ამაყსა სუსნი წამიხდა,
კვილე ღვინის, მაგრამა
ვერ სძრავენ, ასე გაჭირდა.
ღონიერთ ხარმა გასწია,
მაგრამ ურემიც გამიტყდა.

აკროსტიხი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

ავერა ცაზედ მოსწყდა ვარსკვლავი,
ყოვლად ბრწყინვალე, სხივით მოცული
ავერ ქვეყნადაც მოგვიკვდა კაცი,
ზენამ აკურთხოს იმისი სული!
ბედით ჩავრულთა ვაედო ხიდათ,
ესარჩლებოდა თავ-განწირული....
განა შევ-მიწა დაისაკუთრებს,
იგი ჩვენს გულშია დამარხული.

ქვეყანაზედ მოგზაურობს, უსწრაფესად მსგავსად ფიქრის.
არ დაინდობს ხეებს იგი, მოხუცივით წელში მოჰხრის.
რაც გინდ ბევრი მოერიდოთ, გზაზე მაინც მტვერს მოგაყრის,
ისმის კენესა და ზუზუნი, მგზავრს ალონებს, ბრაზებს მოჰგერის.

ისტორიული აკროსტიხი

(წარმოდგენილი მისგანვე)

შარად, ხიფათად გადაგვეკიდა,
არიე-დარია მთლად საქართველო.
ჰარმად აღზრდილმა, არ შეგვიბრალა,
არცა საქმე ჰქმნა რამ სასახლო.
ბევრი ქართველის სისწლით შედგება
ამწვანებული ქართველთა მდელი...
ზარის დამცემი საქართველოსი,
იცნობ ვინც არის, ჩემო მკითხველო.

ეპიტეზისი

ლ—კ—ი—ლ—მ—ს—ს—ო—რა—ძ—ი—ს—თ—ნ—ა—ხ—დ—ა.

დამიწერეთ მილოცვა ოთხი სტრიქონი, რომ ყველა სტრიქონი იწყობოდეს უთუოდ ასო მ. და თითო სტრიქონში 9 მარცვლის მეტი არ იყოს!..

სასახლოწლო შარად

(წარმოდგენილი ნ. ხუციშვილისაგან)




პირველს უწოდებს თავისს ტოლს
ბავში, როს იწყებს ტიტინსა;
მეორე მუშტის ძმა არის,
უყვარს დაკონა ლოყისა;



(ზოგიც უწოდებს „პრისტაულს“)
 მთლად კი პატარა კაცია —
 თავსა მჯდომარე ტაბლისა:
 თვალი და ცხვირი ჩამიჩის,
 ძვალი და რბილი ცომისა,
 მახინჯი თავით-ფენამდე,
 სიცილს მომგერელი ბავშისა.

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ერმილე ლომეინაძესაგან)




გამოცანების ასსნა

1, გლეხი; 2, წარდი; 3, აბრეშუმის პარკი და ქია; 4, ლამპა. ზმა ტფილისი.

აკრასტისი: ნ. ბარათაშვილი.

მათემატიკური გამოცანა: 1) პირველ გროვაში 880 აგურია, მეორეში — 560, და მესამეში — 480; 2) სამ ხაზს ასე მიემატება ორი

ხაზი:




შანადა: ბუხარი.

რეპუსი: აკვანი ბავშვის თავ-შესაფარია.

ზმა, აკრასტისი, შანადა და რეპუსი გამოიცნო ფოთის მო-სწავლემ გაბრიელ ფირალოვმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუშხიშვილი-წეკეთლისა



„ივერია“

გამოვა 1894 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქცია

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“
კანცლარ. სასახლის ქუჩ. ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი.

ТИФЛИСЬ. Редакция „ИВЕРΙΑ.“

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

გაფ. გუნაას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

საქართველოს კალენდარი 1894 წ.

ფასი 50 კაპ.

უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყლით, ყარანდაშით და რეზენით.

ფასი 40 კაპ.

საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენიერად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული,
უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

სასახლსო კალენდარი 1894 წლისათვის

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდვეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხანში წერეთელთან, ფათში ტულუშთან, სენაკში და აჭურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1894 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინა-არსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგი-დან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მანეთი. ნახევარის წლისა გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., ნაგზავნით 4 მანათი. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მანეთი, გაგზავნით 3 მანეთი. თითო ნომერი აბაზათ.

ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Большая водовозная, № 22 д. Айвазова).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: „ჯეჯილის“ აგენტებს.

ვინც „ჯეჯილს“ და „კვალს“ ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და-სხვა ენაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა.

открыта подписка на 1894 г.

на газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Одиннадцатый годъ изданія).

Въ 1894 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисъ, какъ и въ прошлые годы, газеты ежедневно, по литературной, политической и общественной программѣ.

Условія подписки: съ пересылкою и доставкою: на годъ—10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяць—1 р. 50 к. *За границу:* на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р. (Подписка принимается не иначе, какъ считается первого числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентябрю—2 р.

Подписка и объявленія принимаются: въ Тифлисъ, въ конторѣ газеты Головинскій проспектъ, домъ Читахова, № 12; въ Баку, у К. И. Ярченко. Балаханская ул., д. № 19, рядъ съ ремесл. училищ.; въ Батумъ, у М. И. Николадзе, газетномъ агентствѣ; въ Кутаисъ, у бр. Чиладзе; въ Елисаветполь, въ Аптекарек. складѣ Альтгаузена.

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Новаго Обозрѣнія“ 1894 г. въ текущемъ году, будутъ бесплатно получать газету въ этомъ году со дня подписки.

Въ тифлисъ открыта подписка на 1894 годъ.

на армянскую ежедневную политико-литературную газету

„НОРЪ - ДАРЪ“

(Одиннадцатый годъ изданія).

Газета „НОРЪ-ДАРЪ“ въ 1894 году будетъ выходить по прежней программѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: съ пересылкою и доставкою по Россійской имперіи на годъ—10 руб., на полгода—6 руб., на три мѣсяца—3 руб. 50 коп. за границу на годъ 40 франковъ.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Подписка принимается исключительно въ конторѣ газеты „НОРЪ-ДАРЪ“, въ Тифлисъ, на Пушкинской улицѣ, въ домѣ № 14, противъ сквера.

ОБЪЯВЛЕНІЯ принимаются на всѣхъ языкахъ по умеренной платѣ, въ Тифлисъ, въ конторѣ газеты и въ Москвѣ, въ центральной конторѣ объявленій Л. и Э. Метцъ и К^о., Мясницкая, д. Спиридонова.

Адресъ: Тифлисъ, въ редакцію „Норъ-даръ“.

Редакторъ-издатель Спандаръ Спандарянъ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

XXVI Г. ИЗД.

на 1894 годъ.

XXVI Г. ИЗД.

на иллюстрированный журналъ для дѣтей школьнаго возраста

„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“

„Съ приложеніемъ Педагогическаго Листка“

ДЛЯ РОДИТЕЛЕЙ И ВОСПИТАТЕЛЕЙ

Въ 1894 году „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ вступаетъ въ 26 годъ своего существованія.

„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ ОДОБРЕНО Учебнымъ Комитетомъ Собственной ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА Канцеляріи по Учрежденіямъ ИМПЕРАТРИЦЫ МАРИИ, Главнымъ Управленіемъ Военно-учебныхъ Заведеній ВКЛЮЧЕНО въ каталогъ книгъ для чтенія воспитанниковъ кадетскихъ корпусевъ, 1891 г. ДОПУЩЕНО Учебнымъ Комитетомъ Министерства Народнаго просвѣщенія въ ученическія бібліотеки среднихъ учебныхъ заведеній.

Въ совѣщаніяхъ редакціи принимаютъ близкое участіе А. Н. Островскій и В. П. Островскій.

При журналѣ „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ издается „ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЛИСТОКЪ“, выходящій четыре раза въ годъ отдѣльными книжками отъ 3 до 5 печатныхъ листовъ. Большая часть статей „ПЕДАГОГИЧЕСКАГО ЛИСТКА“ будетъ посвящена домашнему воспитанію, элементарному обученію и разработкѣ вопросовъ о чтеніи дѣтей. Въ „ПЕДАГОГИЧЕСКОМЪ ЛИСТКѢ“ помѣщается періодическій указатель вновь выходящихъ дѣтскихъ и учебныхъ книгъ; въ указатель будетъ помѣщаться краткое описаніе и разборъ по возможности всѣхъ вновь выходящихъ книгъ для дѣтей и юношества, учениковъ, руководствъ и пособій для родителей, воспитателей и учителей. Въ концѣ года будетъ помѣщаться рекомендательный каталогъ книгъ для дѣтей и юношества, какъ вышедшихъ въ теченіе года, такъ и ранѣе изданныхъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГОДЪ:

Безъ доставки въ С.-Петербургъ. 5 р. || Со доставкою въ С.-ПБ. и посылкою во всѣ гг. Росіи. 6 р. || За границу. 8 р.

На полгода—3 руб.; на четверть года—1 руб. 50 коп., на девять мѣсяц.—4 руб. 50 коп.

Подписка принимается въ главной конторѣ редакціи: С.-Петербургъ. Разъѣзжая ул., д. № 3. кв. 12 въ отдѣленіяхъ конторы: книжныхъ магазинахъ Калбасникова, Фену и К°. (Невскій просп., № 40), а также во всѣхъ другихъ столичныхъ книжныхъ магаз., а въ Москвѣ—въ конторѣ Н. Н. Печковской.

Издатель Я. В. Борисовъ.

П. В. Голяховскій.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1894 ГОДЪ.

(Срокъ девятый годъ изданія).

„КАВКАЗЪ“

Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТИНЪ.

Подписная цѣна:

На	мѣсяцевъ	Городская.	Иногородная.	Заграничная.
12		11 р. 50 к.	13 р. 50 к.	18 р. 40 к.
11		11 " — "	12 " — "	— " — "
10		10 " — "	11 " — "	— " — "
9		9 " — "	10 " — "	— " — "
8		8 " — "	9 " — "	— " — "
7		7 " — "	8 " — "	— " — "
6		6 " — "	7 " — "	10 " — "
5		5 " — "	6 " — "	— " — "
4	мѣсяца	4 " 50 "	5 " 50 "	— " — "
3		3 " 50 "	4 " 50 "	6 " — "
2		2 " 50 "	3 " 50 "	— " — "
1	мѣсяць	1 " 50 "	1 " 75 к.	2 " — "

Подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца на всѣ сроки отъ одного до двѣнадцати мѣсяцевъ.

Желающіе подписаться съ разсрочкою вносятъ 2 р. при подпискѣ и по 1 р. къ первому числу каждаго послѣдующаго мѣсяца до погашенія всего причитающагося платежа.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ. (со строки петита или занимаемаго ею мѣста): *На послѣднихъ страницахъ:* съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—6 коп., съ прочихъ—10 коп., за каждый разъ. *На первыхъ страницахъ* вдвое. За большія многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложеній 8 рублей съ тысячи.

Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА“: Тифлисъ, Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1894 ГОДЪ
(22-й годъ изданія)

на армянскую газету

„МШАКЪ“

(основатель Григорій Арцруни)

„МШАКЪ“ будетъ издаваться въ Тифлисъ по прежней прораммѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: въ годъ 10 рублей, на полгода—6 рублей, по мѣсячно—1 руб.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ Тифлисъ, въ конторѣ редакц. (уг. Баронской и Базарной улиц.).

Плата за объявленіе—2 коп. со слова.

Адресъ для всей имперіи: Тифлисъ, редакция „Мшакъ“. Для заграничныхъ подписчиковъ: Tiflis, rédaction „Mschak“.

Подписавшіеся на „Мшакъ“ съ 1-го ноября 1893 г. 1-ое января 1894 г. платять—2 руб.

Открыта подписка на 1894 г. на газету

„ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

Газета будетъ выходить при прежнемъ составѣ редакціи, ежедневно, исключая дней послѣпраздничныхъ, въ форматѣ средняго газетнаго листа и пять колоннъ.

Программа газеты: телеграммы, мѣстная хроника, корреспонденціи, иностранная хроника, фельетоны, рассказы и повѣсти. отчеты думскихъ, ученыхъ и другихъ общественныхъ засѣданій судебная хроника и торговая хроника.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисѣ:		для иногородныхъ:	
Съ доставкой на годъ	5 р.—к.	Съ пересылкой на годъ	6 р.—к.
„ „ „ полгода,	3 „ — „	„ „ „ полгода	3 „ 50 „
„ „ „ 3 мѣс.	1 „ 75 „	„ „ „ 3 мѣс.	2 „ — „
„ „ „ 1 мѣс.	— „ 75 „		

Подписка принимается исключительно въ конторѣ „Тифлискаго Листка“ (Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинови, № 3).

За подписку въ другихъ мѣстахъ контора редакціи не принимаетъ на сѣбя никакой отвѣтственности. (3—1)

Годъ V. ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1894 ГОДЪ Годъ V.
НА ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ПОПУЛЯРНО-НАУЧНЫЙ
ЖУРНАЛЬ

ДЛЯ СЕМЕЙНАГО ЧТЕНІЯ И САМООБРАЗОВАНІЯ

ПРИРОДА И ЛЮДИ

Подписной годъ съ 1 ноября 1893 г. по 1 ноября 1894 г.

Всѣ вновь подписавшіеся получаютъ журналъ съ № 1 со всѣми приложениями.

52 НОМЕРА И 12 ВЫПУСКОВЪ

полнаго описанія путешествій по тремъ частямъ свѣта
ИЗВѢСТНАГО ПУТЕШЕСТВЕННИКА-ПИСАТЕЛЯ Д-ра А. В. ЕЛИСѢВА

ПО БѢЛУ-СВѢТУ.

Съ иллюстраціями академикомъ: А. Д. Кившенко и Н. С. Сазокишъ, художникомъ: Е. П. Самокишъ-Судковской, В. Г. Газанцева, Н. Н. Каразина, С. К. Піотровича, Э. К. Соколовскаго и другихъ.

Цѣна на годъ со всѣми приложениями безъ доставки 4 руб., съ пересылою 5 руб.

Подписка принимается въ Конт. Редакціи журнала (СПБ., Стремянная ул., № 12). За 1889—1890 г. журналъ весь разошелся: за 1891 и 1892 г. осталось небольшое количество; цѣна брошюрованнаго тома 4 руб., въ роскошномъ коленкоровомъ переплетѣ 6 руб.

Пересылка наложеннымъ платежемъ по дѣйствительной стоимости.

Редакторъ д-ръ С. Груздевъ.—Издатель П. Сойкинъ.



ჯეჯილი

წელიწადი მეხუთე

გამოვა 1894 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილი“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშოანი და სავარჯიშოანი, სამათემატიკო გამოცანები, იგაეები, ანდაზები, გამოცანები, წარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღკვეთილს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით. ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Большая водовозная ул., д. № 22 Аивазова).

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძესთან, ღიმ. ბაქრაძის სახლში.

3) გორში—ზ. დავიდოვთან.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) თელავში—მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძეთა.

7) ბაშოში—ეს. ამაშუკელთან.

8) ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.

ზოსტის ადრესი: *Въ Тифлисѣ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორი-გამომცემელი ზნ. თუმანიშვილი-წარეთლისა.